საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორც ბოჭდეგუნი სიფაქვაა, ფაქიოლებით და ჭიანებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 10 მაისი. 2024 წ. №55 (9735) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ვერ ელირსებით ქართული სახელმწიფოს ჩამოშლას! 2

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური განცხადება

ზურაბ არსენიშვილი

ვისაც მთვარიან ღამეს ნადიკვრიდან ალაზნის ველი არ დაუნახავს...

არტურ ლაისტი

არა ნადიკვრის გატყევებას! 7

ცხინვალის ქართული პრესის ისტორია

ეროვნული ტელევიზიის დრეიფი ეკვედაკვეკ

მხილების კამპანია 3 ინყება

...კონსტანტინე გამსახურდიას ერთი ლიტერატურული პერსონაჟის გენიალური ნათქვამის მცირე პერიფრაზირებით გადაკეთებული აზრისა არ იყოს, ქვეყანას, რომელსაც ამდენი «პრო... ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს...

ნაცებისა და პრო...ების მომრავლება საქართველოში 5

გვიმრავლოს!

სუპერ მოდელი მატილდა გვარლიანი

ქართველი ტოპ მოდელი აგრძელებს მოდის მიმლიად წოდებულ ჟურნალთან თანამშრომლობას. ამჯერად მატილდა გვარლიანის ფოტოები ვოგის იტალიურ გამოცემაში დაიბეჭდა. მატილდა **Vogue Italia**-სთვის ფოტოგრაფმა **Alice Neale**-მა გადაიღო.

წელს მატილდა გვარლიანი გახდა პირველი ქართველი მოდელი, რომელიც საერთაშორისო პლატფორმა **Models.com**-მა **TOP** 50 მოდელში დაასახელა.

წაჩხურობა სალხინოში

გუშინ წაჩხურუს ტაძარში სადღესასწაულო ლოცვა ჩატარდა

იხ. 9 გვ.

კვირაცხოვლობა — დღესასწაული სიცოცხლისა

ირაკლი კობახიძემ, შალვა პაპუაშვილმა და კახა კალაძემ მელიტონ ქანთარიას ბიუსტი გვირგვინებით შეამკეს

მთავრობის მეთაური ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, თბილისის მერ კახა კალაძესთან, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებთან ერთად იმყოფებოდა.

ირაკლი კობახიძემ პარკში შეკრებილ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავი მიულოცა. მათ გვირგვინებით შეამკეს მელიტონ ქანთარიას ბიუსტი და მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების სახით 2000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 1000 ლარს მიიღებენ.

შალვა პაპუაშვილი:

„ევროპის დემოკრატიის ფონდისა“ და „ამერიკის დემოკრატიის ნაციონალური ფონდის“ ფარული თანხები პატარა საქართველოს გასასრესად იხარჯება!

სამწუხაროდ ზოგიერთს აქვს ისეთი დამოკიდებულება, რომ თავად არიან იუპიტერები და საქართველო არის ხარი და იუპიტერისთვის რაც არის დასაშვები, ქართველებისთვის და პატარა ერისთვის არ არის დასაშვები, რაც არის სამწუხარო მიდგომა. როდესაც ვხედავთ, რომ კანადაში ინიციირება (კანონპროექტი „უცხოური აგენტების რეესტრის შექმნის შესახებ“) ხდება, სადმე ატყდა პანიკა ამასთან დაკავშირებით?

ევროკავშირში მოხდა ინიციირება დირექტივის, სადმე ატყდა პანიკა ამასთან დაკავშირებით?

და რატომ არის პანიკური სიტუაციის შექმნის სურვილი ზოგიერთი უცხოური აქტორის მხრიდან საქართველოში? – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ბრიფინგზე „გამჭვირვალობის კანონთან“ დაკავშირებით განაცხადა.

პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ „გამჭვირვალობის კანონის“ წინააღმდეგ გარე აქტორების ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ საქმე ეხება ევროკავშირის და აშშ-ის იმ თანხებს, რომლებიც ფარულად ხარჯავს ფულს. არ ვიცი, რა კავშირი აქვს ამას დემოკრატიასთან, ეს უფრო სპეცსამსახურების მუშაობის სტილს ჰგავს, რაც უკვე სხვა კითხვებს აღძრავს ამ ორგანიზაციებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, შემდეგ შემთხვევით ვიგებთ ხოლმე, რომ ეს ორგანიზაციები არიან დამფინანსებლები პარტიებისა, მათ შორის იმ პარტიების, რომლებიც დღეს რადიკალურ დღის წესრიგს ახორციელებენ და თუკი დავაკვირდებით, ვინ არიან ამ ძალადობრივი აქციების ორგანიზატორები, პარლამენტის თავდასხმის ორგანიზატორები, ვინ მოუწოდებდნენ მშვიდობიან დემონსტრაციას, რომ პიკეტირება მომხდარიყო პარლამენტის და ამით ძალადობისკენ უბიძგებდნენ აქციის წევრებს, სხვადასხვა გადაადგილება კანცელარიასთან და ა.შ. თუკი ვნახავთ ორგანიზატორებს და ვინ არიან ამისი ინსპირატორები ჩავეძიებით, აღმოვაჩენთ ხოლმე კვალს ზუსტად ამ ორი ფონდის „ევროპის დემოკრატიის ფონდისა“ და „ამერიკის დემოკრატიის ნაციონალური ფონდისა“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

შალვა პაპუაშვილის განცხადებით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვის პერიოდში მმართველი გუნდის წარმომადგენლები მუდმივად ითხოვენ, პარტნიორებმა დაასახელონ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რატომაც არ უნდა იყოს კანონპროექტი მიღებული, მათ შორის ძალაშია ელჩების მიმართ პრემიერის შეთავაზება კანონპროექტის საჯაროდ განხილვასთან დაკავშირებით...

„ერთადერთი მიზანი არის ის, რომ აქ ინტერესია თავად აქტორებისა, ვინაიდან საქმე ეხება ევროკავშირის თანხებს, აშშ-ის თანხებს, რომლებიც ფარულად იხარჯება საქართველოში, რაც მე არაერთხელ მითქვამს მათთვისაც და ამაზე ვთანხმდებით სხვათა შორის ჩვენ პარტნიორებთან, რომ „ევროპის დემოკრატიის ფონდი“ და „ამერიკის დემოკრატიის ნაციონალური ფონდი“ არ ასაჯაროებენ თავის ფინანსებს და მალავენ, არავინ ამას არ უარყოფს, რომ ეს არის დაფარული თანხები და აქ მეორე კითხვა წარმოიშვება – რა ტიპის ორგანიზაცია არის ეს ორი ორგანიზაცია, რომელიც უცხო ქვეყანაში ფარულად ხარჯავს ფულს. არ ვიცი, რა კავშირი აქვს ამას დემოკრატიასთან, ეს უფრო სპეცსამსახურების მუშაობის სტილს ჰგავს, რაც უკვე სხვა კითხვებს აღძრავს ამ ორგანიზაციებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, შემდეგ შემთხვევით ვიგებთ ხოლმე, რომ ეს ორგანიზაციები არიან დამფინანსებლები პარტიებისა, მათ შორის იმ პარტიების, რომლებიც დღეს რადიკალურ დღის წესრიგს ახორციელებენ და თუკი დავაკვირდებით, ვინ არიან ამ ძალადობრივი აქციების ორგანიზატორები, პარლამენტის თავდასხმის ორგანიზატორები, ვინ მოუწოდებდნენ მშვიდობიან დემონსტრაციას, რომ პიკეტირება მომხდარიყო პარლამენტის და ამით ძალადობისკენ უბიძგებდნენ აქციის წევრებს, სხვადასხვა გადაადგილება კანცელარიასთან და ა.შ. თუკი ვნახავთ ორგანიზატორებს და ვინ არიან ამისი ინსპირატორები ჩავეძიებით, აღმოვაჩენთ ხოლმე კვალს ზუსტად ამ ორი ფონდის „ევროპის დემოკრატიის ფონდისა“ და „ამერიკის დემოკრატიის ნაციონალური ფონდისა“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა სომხეთში?

სომხეთის პარლამენტის მმართველი ფრაქციის „სამოქალაქო შეთანხმების“ მდივანს არტურ ჰოვანისიანს მიაჩნია, რომ მიმდინარეობს სომხეთის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევის მცდელობა და სურთ სახელმწიფო გადატრიალების განხორციელება, ქვეყნის პერიფერიად ქცევა და ჩვენი სუვერენიტეტის შეზღუდვა გარკვეული ჯგუფებისთვის დახმარების გაწევით. მან ამის შესახებ განაცხადა ეროვნულ ასამბლეაში 7 მაისს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე.

ვინ და რა ძალები იგულიხმა, სომეხმა კანონმდებელმა? მან იქვე დააზუსტა, რომ „თუ გინდათ მოისმინოთ პასუხი კითხვაზე იგზავნება თუ არა გარკვეული წრეები სომხეთში, მაშინ შეგიძლიათ მოუსმინოთ რუსეთის სახელმწიფო მასმედიაში გაკეთებულ განცხადებებს, მოუსმინოთ რუს პოლიტიკოსებს, „მოუსმინოთ ხალხს, ვინც ძარცვავდა სომხეთს წლების მანძილზე და შემდეგ გაიქცა რუსეთში. არსებობენ ძალები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სომხეთს არ ჰქონდეს სახელმწიფო საზღვარი, ისინი წარმოქმნიან პროცესებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ვითარების ესკალაცია, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სომხეთი ომში ჩაითრიონ, ზიანი მიაყენონ ქვეყნის სუვერენიტეტს, რათა მოახდინონ გადატრიალება და მოვიდნენ ხელისუფლებაში – ეს იყო მათი მიზანი და ის არ შეცვლილა. მათი მიზანია, ჰქონდეთ პროვინცია თავისი გუბერნატორით“.

ვერ ელირსებით ქართული სახელმწიფოს ჩამოშლას!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური განცხადება

„სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ინტერესებიდან გამომდინარე, გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ მიღებული ინფორმაციით, პირთა გარკვეული ჯგუფები ცდილობენ საქართველოს პარლამენტთან მიმდინარე აქციების დროს მოაწყონ პროვოკაციები, რაც მიზნად ისახავს დესტრუქციული და ძალადობრივი სცენარების განვითარებას და რომელიც იმართება უცხო ქვეყნებიდან მომდინარე დაფინანსებით, საპარლამენტო და არასაპარლამენტო კონკრეტული პოლიტიკური პარტიების ლიდერების და არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ. აღნიშნულ დანაშაულებრივ გეგმებში აქტიურად არიან ჩართული ქვეყნის გარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები, კერძოდ, უკრაინაში მებრძოლი ქართველების კონკრეტული ნაწილი, რომლებიც აცხადებენ მზადყოფნას, ჩამოვიდნენ საქართველოში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიციის წინააღმდეგ დაგეგმილ ძალადობაში. ზემოთ აღნიშნული პირები აქტიურ კომუნიკაციაში არიან საქართველოში მყოფ თავის თანამოაზრეებთან და განიხილავენ პარლამენტის, მთავრობის ადმინისტრაციისა და სხვა სამთავრობო შენობების ბლოკირების და პარალიზების გეგმებს.

* * *

კონკრეტული პირები აქტიურად განიხილავენ საჭიროების შემთხვევაში სპეციალური დანიშნულების რაზმზე იერიშის მიტანის გეგმებს, რასაც მოჰყვება სიტუაციის სრული დაძაბვა. სპეციალური დანიშნულების რაზმის და პოლიციის განეიტრალების მიზნით, დანაშაულებრივი ქმედების ორგანიზატორები, ხშირ შემთხვევაში რეალური მიზეზების გამხელის გარეშე, საპროტესტო მუხტის მატარებელ ახალგაზრდებს ავალებენ, პარლამენტის წინ მიიტანონ ადვილად აალებადი ნივთიერებები, რაც შემდგომში გამოყენებული იქნება ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილების“ დამზადების მიზნით, აგრეთვე, სამართალდამცავებთან დაპირისპირებისთვის გამოსაყენებლად გაცემული აქვთ აქციაზე ქვების და რკინის ხელკეტების ფარულად მიტანის დავალება.

მიმდინარე საპროტესტო აქციების მსვლელობისას, მისი ორგანიზატორები მასობრივი არეულობის, ქაოსის და სამართალდამცავი ორგანოების პროვოცირების მიზნით, იმართებიან უცხოეთის ინსტრუქტორების მიერ გაცემული დავალებებით და აქტიურად იყენებენ ორგანიზაცია „CANVAS“-ის და პიტერ აკერმანის მიერ ჩატარებული ძალადობრივი სწავლებების მეთოდებს, რომლის მიზანია მიმდინარე პროცესების ე.წ. „მაიდანიზაცია“ და ქვეყანაში 90-იანი წლების სამოქალაქო დაპირისპირების მსგავსი მოვლენების პროვოცირება. აღნიშნული დესტრუქციული გეგმის ნაწილად, ცალკეული პოლიტიკოსები და აქციის რადიკალი ორგანიზატორები აუცილებლად მიიჩნევენ თბილისის სატრანსპორტო კვანძების პარალიზებას, სამთავრობო დაწესებულებებთან მისასვლელი და სტრატეგიული ობიექტების გზების ბლოკირება-ბარიკადირებას, რკინიგზის ბლოკირებას, ცენტრალურ გამზირებზე ე.წ. კარვების ქალაქების მოწყობას, სამართალდამცავი ორგანოების დისლოკაციის ბაზების ბლოკირებას. აღნიშნული დანაშაულებრივი გეგმების რეალიზებისთვის გამოიყენება უცხოეთიდან შემოსული ფინანსები, ხოლო მათი აზრით, კვალის დაფარვის მიზნით, ხშირ შემთხვევაში იყენებენ კრიპტოვალუტას. კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესახებ, უცხოელი ინსტრუქტორების მიერ, მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს საქართველოში ჩატარდა ტრენინგები, სადაც აქციის ორგანიზატორებმა მიიღეს ინსტრუქციები რადიკალური ქმედებების დაფინანსების ფარულად მიღების თაობაზე.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ხელშესაწყობად და წარმატების მისაღწევად მიიჩნევენ, რომ უნდა მოხდეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა პროვოცირება. უფრო მეტიც, დაინტერესებული მხარის მხრიდან ერთი გასროლაც კი გამოიწვევს პანიკას, ჭყლეტას და შესაბამისად დემონსტრანტთა შორის მძიმედ დაშავებულ პირებსა და მსხვერპლს. აქციის ორგანიზატორებისთვის სასურველია, საპროტესტო აქციებს მოჰყვეს ადამიანური მსხვერპლი. მათი აზრით, აღნიშნული სავალალო შედეგები გაზრდის საპროტესტო მუხტს და რადიკალიზმს.

საპროტესტო აქციის ორგანიზატორების აგრესიის განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენენ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები. მათი დემორალიზების და პროვოცირების მიზნით გამოიყენება ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ მოწყობასთან დაკავშირებული ისეთი მეთოდები, როგორიც არის მათ მიმართ მუქარა, მოსყიდვა, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხარეს მათი გადასვლის ინსცენირება, რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლას და ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას.

მოვუწოდებთ საპროტესტო აქციებში მონაწილე ახალგაზრდებს, არ აჰყვნენ პროვოკაციებს, ხოლო ორგანიზატორებს მივმართავთ, რომ მათი დესტრუქციული გეგმების განხორციელების შემთხვევაში, სამართალდამცავი უწყებების მიერ, გატარდება მყისიერი სამართლებრივი ღონისძიებები, რათა არ მოხდეს მოვლენათა ესკალაცია, გამოირიცხოს ქვეყანაში არეულობა, სამოქალაქო დაპირისპირება და შენარჩუნებული იქნეს მშვიდობა.

ხელისუფლება მონაცემთა ბაზას ქმნის

ჩხოლების კამპანია ინყება

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნება მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსდება ინფორმაცია ადამიანებზე, რომლებიც ძალადობაში, სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში, მუქარასა და შანტაჟში არიან ჩართულნი, ან ამგვარ ქმედებებს საჯაროდ იწონებენ. მონაცემთა ბაზა განთავსდება სპეციალურ ვებ-გვერდზე და იქნება საჯარო და გამჭვირვალე საქართველოს მოქალაქეებისთვის. ამ პირთა წინააღმდეგ კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში მიღებული იქნება ყველა ზომა, რათა კანონდარღვევა, ძალადობა და მუქარა არ დარჩეს სახელმწიფოს თუ საზოგადოების რეაგირების გარეშე.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის **გია ვოლსკის** განცხადებით, ვინც მორალურ დანაშაულს სჩადის საზოგადოების წინაშე, ყველასთვის უნდა იყოს ცნობილი.

„როდესაც პროტესტს გამოხატავენ, ეს პროტესტი უკვე გადადის ისეთ დაპირისპირებაში, როდესაც შეგიძლია მანდილოსანს შეაგინო, ან ხელით შეეხო, ან უფრო მეტიც, გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს რადიკალიზაციამდე და ორიენტირებულია როგორმე მსხვერპლის დაშავებაზე შეჯახების დროს. რასაკვირველია, იმ ადამიანების სახელები საზოგადოებამ უნდა იცოდეს, მაგრამ თუკი სისხლის სამართლის დანაშაულში გადავა ეს, რასაკვირველია, შესაბამისი პასუხიც უნდა მოეთხოვოს. **Mona.ge**-ს ქმნის ადამიანი, რომელიც რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ეს არის სულ სხვა რამ. ეს არის ბულინგისთვის გამოყენებული გარკვეული გვერდი, რომელმაც არ გაამართლა, იმიტომ რომ, საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი რეალური სურათი. ასე რომ, ადამიანები, ვინც ჩადიან მორალურ დანაშაულს საზოგადოების წინაშე, უნდა იყვნენ ყველასთვის ცნობილი“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ირაკლი ზარქუას განცხადებით, უნდა გაკეთდეს უსამშობლოების სია, რომლებსაც არ სწამთ ღმერთის, ქვეყნის. როგორც ზარქუა ამბობს, ხოშტარიას – **mona.ge**-ზე განსხვავებული აზრის მქონეების აფიშირება ხდება, ამ შემთხვევაში კი მმართველი გუნდი ცდილობს პარტიულ ჭრილში შექმნას რეესტრი, სადაც მისი თქმით, ის უსამშობლოები მოხვდებიან, რომლებიც აბულინგებენ და შეურაცხყოფას აყენებენ საზოგადოებას, მათ შორის, ფეხბურთელებს.

„იმ უსამშობლოების სია უნდა გაკეთდეს, რომლებსაც არ სწამთ არც ღმერთის, არც მშობლის, არც ქვეყნის, არაფრის, რომ საზოგადოებამ იცოდეს, ვინ დგას და ვინ არის ორგანიზატორი ამ ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების, ამაზეა საუბარი. რაც შეეხება იმ ბოლშევიკურ მიდგომას, რაც აქვს **mona.ge**-ს, (**mona.ge**-ზე განსხვავებული აზრი ვისაც აქვს, იმის აფიშირება ხდება), ჩვენ ასე არ ვაკეთებთ. განსხვავებული აზრი უნდა ჰქონდეს ნებისმიერს. ჩვენ ვამბობთ, რომ ის, ვინც აბულინგებს საზოგადოებას, შეურაცხყოფს, ის ვინც ეკლესიას უტევს, ის ვინც საჯაროდ გამოდის და დამხობისკენ მოუწოდებს, მათი სახელი და გვარები იყოს იდენტიფიცირებული. ასე რომ, ბოლშევიკური რუსული ფულით დაფინანსებული „ჩახდილების“ და ხოშტარიას პროექტში არ აგერიოთ“, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

* * *

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილება „კაგებეს“ მეთოდს ახსენებს ოპოზიციონერ **რომან გოცირიძეს**, რომლის განცხადებით, ე.წ. ადამიანთა რეესტრის შექმნა არის „კაგებეს“ მეთოდი და ემსახურება ერთადერთ მიზანს – დაიწყოს რეპრესიები, რათა „ქართულმა ოცნებამ“ ძალაუფლება შეინარჩუნოს.

„ასეთი ე.წ. არაკეთილსაიმედო ადამიანების ბაზა იყო საბჭოთა კავშირში და შემდეგ მოჰყვებოდა ამას რეპრესიები და გაციმბირება. ასეთი ბაზა არსებობდა ფაშისტური გერმანიის დროს, როდესაც განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები იდევნებოდნენ. ეს არის წმინდა წყლის ფაშისტური მიდგომა და ქვეყანა, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ გაწევრიანდეს ევროკავშირში, როდესაც მსგავს სისულელეს აცხადებს, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარის ენით, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი საზღვრები გადალახა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ.

ყველა კანონი, დაწყებული აგენტების „რუსული კანონით“ და დამთავრებული სხვა კანონებით, მათ შორის, აი, ამ ე.წ. რეესტრის შექმნა, ემსახურება ერთ მიზანს – დაიწყოს რეპრესიები და ამ რეპრესიების შედეგად შეინარჩუნოს „ქართულმა ოცნებამ“ ძალაუფლება. ძალიან მძიმედ დაამთავრებს „ქართული ოცნება“. ქვეყანას სერიოზული რისკის წინაშე აყენებს. ეს განცხადება არის უკანონო, არაკონსტიტუციური“, – აცხადებს რომან გოცირიძე.

* * *

ისტორიკოსი, ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ფიქრობს, რომ აბსოლუტურად გამართლებულია ის, რასაც ამ მხრივ ხელისუფლება აკეთებს და მიაჩნია, რომ როდესაც სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, იქ ყველა ზომა გამართლებულია.

„ჩვენ გვყავდა პრეზიდენტი ზვიადი გამსახურდია, რომელიც ამბობდა – „მართალია, ჩვენ სუსტი სახელმწიფო ვართ, მაგრამ ჩვენი იარაღი არის მხილება“. ეს მიმაჩნია იმ ომის საწინააღმდეგო ნაწილად, რომლებსაც ჩვენს წინააღმდეგ ეწევიან შინა, თუ გარე მტრები. ე.წ. კოლექტიურმა დასავლეთმა ჩვენს წინააღმდეგ ყველა ღონისძიება გამოიყენა და დარჩა ერთადერთი – ოფიციალურად საქართველოს წინააღმდეგ ომის გამოცხადება. ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ ეს ადამიანები, ეს გირჩი ზურაბები, ხოშტარიები, ჭიჭიკო ვაშაძეები და სხვა ნაყარ-ნუყარი დამოუკიდებლად მოქმედებენ? – არა. არც ერთ შემთხვევაში არ მოქმედებენ ისინი დამოუკიდებლად. უპირველეს ყოვლისა, ისინი ასრულებენ იმათ დავალებებს, რომელთა მიზანი არის ერთადერთი რამ – მათ მშვენივრად იციან, რომ საქართველოში ხელისუფლებას არჩევნების გზით ვერ შეცვლიან და ამიტომ უნდათ საქართველოში ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა და ამის ერთ-ერთი ნიმუში იყო თქვენი საიტის მიერ არაჩვეულებრივი ჩანაწერების გამოქვეყნება. მე ვიტყოდი, რომ ეს არის საიტის ხელმძღვანელობის გმირობა, ვინაიდან თქვენ აკეთებთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეს, რასაც ჰქვია მხილება. მხილება იმ ძალების, რომლებსაც უნდათ საქართველო აღიგავოს პირისაგან მიწისა“...

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, ბრძანება გაცემულია და მოქმედება დაწყებულია. უტევენ იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ მაგათ მხილებას. ამიტომ, საიტი, რომლის შექმნას ხელისუფლება აანონსებს, ფიქრობს, რომ აუცილებელია.

„ვინაიდან, ჩვენ დემოკრატიული სახელმწიფო ვართ და ამ დემოკრატიულ ქვეყანაში საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვინ არიან ეს ადამიანები, რას ჩადიან და როგორ აბულინგებენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს და ნახეთ, ყველაზე მეტი საშინელება, რაც მათ ჩაიდინეს – ბაღის და სკოლის ბავშვების მიყვანა პარლამენტის შენობის წინ და ძახილი – „არა რუსულ კანონს“. მსოფლიო ისტორიაში მსგავსი პრეცედენტი არ არსებობს, ჰიტლერულ გერმანიასაც არ უკადრებია ბავშვების მიმართ ის, რაც ამათ გააკეთეს, დასძინა ედიშერ გვენეტაძემ.

მოამზადა
თამთა ქარჩავამ

<u>თეიმურაზ კუპატაძე:</u>

ვაფრთხილებთ აქციის ყველა მონაწილესა და ორგანიზატორს!

ბოლო პერიოდში საქართველოში, კერძოდ თბილისში მიმდინარე შეკრება-მანიფესტაციები არაერთხელ გასცდა შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობით მიღებულ ზომებს – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა **თეიმურაზ კუპატაძემ** შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

თეიმურაზ კუპატაძემ აქციის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს მიმართა და აღნიშნა, რომ იმ დროს როდესაც პოლიცია კანონის შესაბამისად დაიწყებს აქციის მონაწილეთა ძალადობრივი ქმედებების აღკვეთას, გამოყენებული იქნება მკაცრი ზომები, ისევე როგორც ამერიკის და ევროპის წამყვან ქვეყნებშია მიღებული. „ბოლო პერიოდში, საქართველოში, კერძოდ თბილისში მიმდინარე შეკრება-მანიფესტაციები არაერთხელ გასცდა შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობით მიღებულ ზომებს. ვნახეთ შტურმი საკანონმდებლო ორგანოზე, პიკეტირების მცდელობა პარლამენტზე და ასევე ძალადობის არაერთი შემთხვევა სამართალდამცველების მისამართით. ეს კადრები არა მარტო ქართული მედიის არამედ მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა და ჩემი ევროპელი კოლეგებიც დამეთანხმებიან, რომ ეს იყო პროპორციული ძალა და საკმაოდ ლმობიერი ქმედებები რაც ქართველმა სამართალდამცველებმა გამოიყენეს. ვაფრთხილებთ აქციის ყველა მონაწილესა და ორგანიზატორს, იმ დროს, როდესაც პოლიცია კანონის შესაბამისად დაიწყებს აქციის მონაწილეთა ძალადობრივი ქმედებების აღკვეთას, გამოყენებული იქნება მკაცრი ზომები, ისევე როგორც ამერიკის და ევროპის წამყვან ქვეყნებშია მიღებული“, – განაცხადა თეიმურაზ კუპატაძემ. შინაგან საქმეთა სამინისტროში საზოგადოებას წარუდგინეს ვიდეოკოლაჟიც, იმ საერთაშორისო საპოლიციო ღონისძიებების პრაქტიკის შესახებ, რომელთა გამოყენებითაც როგორც ევროპის წამყვან ქვეყნებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიციის მიერ შეკრება-მანიფესტაციის დროს მასების მართვა და საჭიროების შემთხვევაში კანონით დადგენილი სპეციალური საშუალებების გამოყენება ხდება.

ამ ქოუჩებმა თქვენს შვილებს კიდურების და თვალების რაოდენობა უკვე დაუთვალეს და დიდ ტრაგედიას ვერ ხედავენ, თუ კი ვინმეს რამე დააკლდება! პირიქით – ესეც ჩაფიქრებული გვაქვსო, – წერს პარტია „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** სოციალურ ქსელში, რითაც ეხმიანება **For.ge**-ის მიერ გავრცელებულ მორიგ ჩანაწერს, რომელშიც აქტივისტი ნატა ფერაძე და ლაშა ფირცხალაიშვილი აქციების ძალადობრივ განვითარებაზე, მათ შორის, აქტივისტების ფიზიკურ დაზიანებებზე საუბრობენ.

<u>დავით ქართველიშვილი:</u>

მშობლებო, ამ ქოუჩებმა თქვენს შვილებს კიდურების და თვალების რაოდენობა უკვე დაუთვალეს!..

ქართველიშვილის თქმით, აქციის ორგანიზატორებისთვის მთავარია, თავად მათ არაფერი მოუვიდეთ.

„განძთა კუნძული“ ვის არ წაუკითხავსო – ცალთვალა პიუ ან ცალფეხა სილვერიც ევროპელები იყვნენ.

მსხვერპლის გარეშე ეს „განძი“ არ მოიპოვება...

ერთხელაც ვეცდები თქვენს „ნომერ ერთი“ და „ნომერ ორი“ მშობლების გრძნობებს ჩავწვდე, ესენი არ გინდობენ და თქვენ თუ დაინდობთ საკუთარ შვილებს, საკითხავი ესაა...“ – წერს ქართველიშვილი **Facebook**-ზე.

ევროპის ერთობა ემყარება სუვერენულ ქვეყანათა კავშირს

– წერს სოციალურ ქსელში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი. მან ევროპის დღე - 9 მაისი მიულოცა ქართველ ხალხს.

„დღეისთვის ევროკავშირი 27 ქვეყანას აერთიანებს, რომელთა მიზანს მშვიდობის უზრუნველყოფა და ევროპელი ხალხის კეთილდღეობა წარმოადგენს. გილოცავთ ევროპის დღეს! მჯერა, რომ საქართველო მალე შეუერთდება ღირებულებათა ერთობით ჩამოყალიბებულ კავშირს, სადაც თითოეული ქვეყანა თავისი თვითმყოფადობითა და ისტორიული გამოცდილებით შეიტანს წვლილს ევროპის მშვიდობის და წინსვლის უზრუნველყოფაში“.

გოჩა ჯავახიშვილი:

ვტოვებ საფრანგეთში საქართველოს ელჩის თანამდებობას და მუდამ ვიქნები ევროპის მხარდამჭერი!

გოჩა ჯავახიშვილი აცხადებს, რომ საფრანგეთში საქართველოს ელჩის თანამდებობას ტოვებს. მან უკვე მიმართა ხელმძღვანელობას თხოვნით, ვადამდე შეუწყდეს დაკავებულ თანამდებობაზე უფლებამოსილება.

* * *

– ჩემი დუმილით გამოწვეული ეჭვი, რომ გავფანტო საქართველოს ევროპულ მომავალზე ჩემს დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, ევროპის დღესასწაულზე სიტყვასიტყვით გავიმეორებ, რაც შარშან იმ რთულ დღეებში გულწრფელად ვთქვი და დღესაც აქტუალური მგონია:

„ევროპა არ არის მხოლოდ საზღვრებით გარშემორტყმული სივრცე. ევროპა უპირველესად ღირებულებათა ერთობლიობაა. ევროპელობა ამ ღირებულებათა ერთგულებაა. საქართველო, რომელსაც მე ვემსახურები, არ გახლავთ არც მხოლოდ მთავრობა და არც მხოლოდ ოპოზიცია. არც ერთი და არც მეორე არ აერთიანებს საკუთარ თავში ქვეყნის აწმყოსა და მომავალს. მხოლოდ ხალხი, მისი ისტორია, კულტურა განსაზღვრავს ქვეყნის ისეთ ფუნდამენტალურ მისიას, როგორიცაა მისი სულიერი და კულტურული იდენტობა.

ჩვენს წინაპართა ნება და ანდერძია ჩვენი სამშობლოს ევროპული მომავალი. წარსულისა და მომავლის გააზრებით საქართველო ერთგული დარჩება ევროპული გზის. მე ამ გზს ვემსახურები ჩემი მოკრძალებული საქმით. ეს არის ჩემი მრწამსიცა და მოქალაქის პოზიციაც. დღემდე მთელი შეგნებით და გულწრფელობით ვემსახურები საქართველოს ევროპულ საქმეს. სხვა არც გზი მესმის და არც საქმე“.

30 წელია, მმსახურობ ქართულ დიპლომატიაში, ათი წელი ვასწავლიდი ევროპულ ინტეგრაციას. მეც მჯერა და სტუდენტებსაც ვარწმუნებდი, რომ ევროპული კულტურისა და მომავლის ქვეყანა ვართ. ევროპაა ჩვენი ადგილი. ვარწმუნებდი, რომ ევროპას ჩვენ სტერილური ერი კი არ ვჭირდებით, არამედ ჩვენი თავისებურებებით, ჩვენი უნიკალური ენით, ანბანითა და პოლიფონიით, ჩვენი მდიდარი ტრადიციებითა და უძველესი კულტურით, ჩვენი ხიზლითა და ლაზათით უნდა გავამდიდროთ ევროპა-მეთქი. ამის გულწრფელად რომ არ მჯეროდეს, აქამდეც ვერავინ გამაჩერებდა ამ სამსახურში.

იმასაც დავამატებ, რომ მტკიცედ მჯერა, საქართველო უკვე საკმარისად გაძლიერდა ეროვნულ ღირებულებებში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფასი ვიცით. ქართველმა ერმა რუსეთისაგან იმდენი ნახა და განიცადა, რომ ქართული მიწა ვეღარასოდეს იქნება ნოყიერი რუსული თესლისა და ნერგისთვის.

პირადად მე არავის ვიცნობ ჩემ ირგვლივ, არც მთავრობაში და არც დიპლომატებში ღიად პრორუსს, მესმის, რომ ეს შეიძლება, ერთგვარი ტაქტიკა იყოს, გარკვეული მიზნის მისაღწევად. თუმცა, მე ვეღარ ვხედავ ჩემს როლსა და რესურსს ამ მიმართულებით: ევროპისკენ მივდიოდე და ევროპისგან ვიცავდე თავს.

ის გარემო და განწყობა, რომელიც რეინკარნირებული კანონპროექტის გამო ჩვენს მეგობრებთან და უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობაში შეიქმნა, უკიდურესად ართულებს პირადად ჩემი, როგორც საფრანგეთის რესპუბლიკასა და მონაკოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მისიას. შესაბამისად, უკვე მივმართე ჩემს უშუალო ხელმძღვანელობას თხოვნით, ვადამდე შემიწყდეს დაკავებულ თანამდებობაზე უფლებამოსილება.

ასევე გულწრფელად ვიტყვი, რომ პროტესტიც და კმაყოფილებაც არჩევნებზე უნდა გამოვხატოთ. არ მინდა ჩემი გულწრფელი აზრი პოლიტიკურ დემარშად იქნეს აღქმული ვინმეს სასარგებლოდ ან ვინმეს საზიანოდ. მინდა, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ გავთავისუფლდე იმ ტვირთისგან, რომელსაც ვგრძნობ, ვეღარ ვერევი.

თუნდაც ვცდებოდე, არ ვინანებ. მხოლოდ საკუთარი სინდისის კარნახით ვიქცევი. იმასაც ვაცნობიერებ, ბევრს გულს ვატკენ ამ გადაწყვეტილებით და ამას უფრო განვიცდი.

მომავალშიც, სადაც არ უნდა ვიყო, მუდამ ვიქნები საქართველოს ევროპული მომავლის მხარდამჭერი და გულშემატკივარი...

საქართველოში პრეტენზია გვაქვს ევროპულობაზე!..

ამის შესახებ განაცხადა თბილისი მერმა და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა **კახა კალაძემ**, შეაფასა რა, იმ ადამიანების საჯარო ბაზის შექმნის საჭიროება, ვინც სოციალურ ქსელში მუქარითა და სიძულვილის ენის გავრცელებით გამოირჩევიან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნება მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსდება ინფორმაცია ადამიანებზე, „რომლებიც ძალადობაში, სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში, მუქარასა და შანტაჟში არიან ჩართულნი, ან ამგვარ ქმედებებს საჯაროდ იწონებენ“.

„მე მაქვს ყველა მასალა იმასთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორი შეურაცხყოფა მიდიოდა ჩვენს ფეხბურთელებზე, თავისი „სქრინებით“, სახელებითა და გვარებით. ამ ადამიანებს არანაირი კავშირი არა აქვთ ევროპულ ღირებულებებთან, ეს არის ჩვეულებრივი ფაშიზმი, ეს არის ის, რასაც ყველა უნდა შევეწინააღმდეგოთ და ყველა უნდა დავუპირისპირდეთ. როგორ შეიძლება, განსხვავებული მოსაზრების გამო ადამიანს უწოდო მოღალატე, ან „დაამულინგო“ იმისთვის, რომ რაღაც აზრი დააფიქსიროს – შეიძლება მას დისტანცირება უნდა რაღაც კონკრეტული თემისგან ან საკითხისგან, შეიძლება ვერ ერკვევა, შენ რატომ ძალადომ ფსიქოლოგიურად და რატომ გინდა, რომ ეს ადამიანი „დაამულინგო“, შეურაცხყოფა მიაყენო, დაემუქრო? მე არასდროს არ ვიკადრებ და არ გავბედავ იმას, რომ ვიღაცას განსხვავებული აზრი და პოლიტიკური შეხედულება ჰქონდეს და მას დავემუქრო ოჯახით, დავემუქრო შვილებით, შეურაცხყოფა მივაყენო – არ არის ეს სწორი ფორმა და სწორი დამოკიდებულება. მაგრამ ეს ადამიანები აგრძელებენ იმ მეთოდებით მუშაობას, ბრძოლას, სადაც წესები არ არსებობს. ყველაფერს კადრულობენ, ეს არის ფაშიზმი, ლიბერალიზმით შენიღბული ფაშიზმი და ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავამთავროთ ქვეყანაში“ – აცხადებს კახა კალაძე.

რატი იონათამიშვილი:

პირველი იყო ელისაშვილის ვირთხული, მიპარვით თავდასხმა უმრავლესობის ლიდერზე, რაც არ შეიმჩნიეს, პირიქით, შეაქეს კიდეც!

– როგორ დაიწყო ჯერ ფიზიკური, მერე ფსიქოლოგიური ძალადობა და გულინგი?!

პირველი იყო ელისაშვილის ვირთხული, მიპარვით თავდასხმა უმრავლესობის ლიდერზე, რაც არ შეიმჩნიეს, პირიქით, შეაქეს კიდეც.

სატელეფონო ზარებს რაც შეეხება, ასევე პირველი იყო ხელისუფლების წარმომადგენლების ტელეფონების საჯაროდ გამოდება, რასაც მოყვა ასობით ზარი და მესიჯი, თუმცა ჩვენ ოპოზიციის წარმომადგენლებივით ტირილი და გოდება არ დაგვიწყია, გვირეკავენო.

სხვათა შორის, შარშან, ასეთ ზარებზე მამუკა მდინარაძემ მკაცრად რომ უპასუხა, მაშინ ტვ პირველზე გამოდეს, მდინარაძე გვაგინებსო, წელს – აღარ, ეტყობა სხვა, უფრო „ვაჟკაცური“ გეგმები აქვთ.

დაბოლოს, ძალადობებს აუცილებლად გამოიძიებენ. სამწუხაროდ ეს ძალიან სწრაფად არ ხდება, თუმცა პირველი გივი თარგამაძე გვახსენებდა, ქათამივით რომ აკლავდნენ თავიანთ „ღიად რევოლუციურ გეგმებს“. სხვა გზა არც ახლა დარჩათ, ახლაც მსხვერპლი სჭირდებათ, თორემ რუსულმა მესიჯმა აღარ იმუშავა და ხალხი აქეთ გვეუბნება, უკან არ დაიხიოთ, ეს თაღლითობა და მავნებლობა არ გაატანინოთო. ეს გვითხრა 29 აპრილს მოსულმა ორასიათასზე მეტმა ადამიანმაც!

ევროკავშირი ზედმეტად შეყვარებულია საკუთარ თავზე!

„სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიცომ მწვავედ გააკრიტიკა ევროკავშირი AZERTAC-თან და AzTV-სთან ინტერვიუში. სლოვაკეთის ლიდერმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი შეყვარებულია საკუთარ თავზე.

„ევროკავშირმა დაარწმუნა საკუთარი თავი, რომ ის არის საუკეთესო ადგილი მსოფლიოში და აქვს უფლება ასწავლოს სხვებს. თუმცა, სხვა ქვეყნები შეიძლება იყვნენ ჩვენზე უკეთესი. ხანდახან მეჩვენება, რომ ევროპული შესაძლებლობები ევროკავშირში თანდათან იწურება. ჩვენ გვიწევს ბრძოლა იმისთვის, რომ გავიგოთ, რა არის ევროკავშირში ნორმალური და რა – არანორმალური“, – განაცხადა რობერტ ფიცომ.

სტრასბურგში, ევროპარლამენტის მოახლოებულ არჩევნებზე საუბრისას, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საარჩევნო კამპანია არ არის აგებული იმაზე, თუ ვინ შექმნის უკეთეს სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს.

„ბოდიშს გიხდით, ამ კამპანიაში განიხილება რამდენი ტუალეტია საჭირო გარკვეულ ადგილებში – ორი თუ სამი, როდესაც საუბარი ტრანსგენდერებს ეხება. დღეს ევროპაში ეს თემები მოდაშია. თუმცა საზოგადოებისთვის ამას არანაირი პროგრესი არ მოაქვს. ევროკავშირი ძალიან ამბიციური ხდება და ეს ჩვენთვის ცუდია”.

სლოვაკეთის ლიდერმა დასძინა, რომ ევროკავშირს არ გააჩნია საკუთარი საგარეო პოლიტიკა და „ჩვენი მუდმივი სწორება ატლანტიკის ოკეანის მეორე მხარეზეა. ვიყურებით იქ და ველოდებით რას გააკეთებს ან რას გვიბრძანებს შეერთებული შტატები“.

ნაცებისა და პრო...ების მომრავლება საქართველოში

პოლიტმეტყველების ლინგვისტურ-გრამატიკული ასპექტები

ქართველ ე.წ. პოლიტიკოსთა მეტყველებაში ისეთი გამოთქმები მომრავლდა, რომელიც მასოგრივი მკითხველისა თუ მსმენელისთვის გაუგებარია და მნიშვნელოვნად უშლის ხელს ამა თუ იმ პარტიისა თუ რაღაცის გამო და რაღაცის საფუძველზე გაერთიანებული ჯგუფის მსოფლმხედველობას, სადღეისო ამოცანების გაგებას. ამ ჩვენი პოლიტიკოსების მსოფლმხედველობის გაგება მაინცადამაინც სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან მათ ეს „მსოფლმხედველობა“ ან საერთოდ, არა აქვთ, ან თუ აქვთ, ისედაც ყველასთვის გასაგებია მისი უაღრესი პრიმიტიულობის გამო, აი, ასეთი: „მე ვიყო მაძღარი“ და „სხვას კისერიც უტეხიაო“. ამასთან, ისიც აშკარაა, რომ „სიმაძღრე“ და „გედნიერება“ მათთვის სინონიმური ცნებებია. აი, სადღეისო პროგლემების გაგება კი ცოტა მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული.

ვფიქრობ, პოლიტმეტყველებაში დამკვიდრებული „ნაცებისა“ და „პროს“ შინაარსობრივი გაშიფვრა ძალიან ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. „პრო“-დან დავიწყებ, რადგან ქართველთა უმრავლესობისათვის იგი, მართლაც, ფრიად გაუგებარი რამ არის.

„პრო“ დამოუკიდებელი ტერმინი არ გახლავთ. მას პოლიტმეტყველებაში ამა თუ იმ სიტყვის თავსართად ხმარობენ, მაგალითად „პრორუსი“, „პროდასვლელი“, „პროამერიკელი“ „პროევროპელი“ და ასე შემდეგ.ეს თავსართი შედარებით ახალი მოვლენაა ქართულ მეტყველებაში. ჩემს ჭაბუკობაში „პროქართულს“ კი არ ამბობდნენ, არამედ ჩვეულებრივ, ადამიანურად – „ქართულს“, ხოლო ქართველთა მოკეთე, ქართული საქმის გულშემატკივარი, მომხრე და მოამაგე თუ იყო ვინმე, ქართველთმოყვარეს, საქართველოს მეგობარს უწოდებდნენ... ასევე ქართული ენა სხვა ხალხებისა თუ სახელმწიფოთა მიმართ ქართველთა (თუ სხვათა!) დამოკიდებულებას გამოხატავდა, მე თუ რუსულ კულტურას, მის ლიტერატურასა და ხელოვნებას პატივს ვცემ, ვაღიარებ რუსეთის ისტორიულ დამსახურებას საქართველოს გადარჩენისა და განვითარების საქმეში, „პრორუსი“ კი არა, რუსეთისა და რუსი ერის პატივისმცემელი და მადლიერი ვარ და არა უმადური, უვიცი და უტვინო. რა შუაშია აქ „პრო“?

ახლა კი განუწყვეტლივ ისმის „პრო-პრო-პრო“... ხან ნეგატიურ და ხან პოზიტიურ კონტექსტში. ქართული ოპოზიციისათვის (უმეტესობისთვის, ცხადია!) რუსეთის პატივისმცემელი თუ ხარ, მაშინ „პრო“ ლანძღვაა, ევროკავშირისა და ნატოს მზეს თუ ფიცულობ, მაშინ „პრო“ აღტაცების გამომხატველია. რა უბედურებაა ეს და ვინ დაამკვიდრა ეს „პრო“ ჩვენში? პირადად მე რუსეთისადმი ჩემი დიდი სიმპათიის გამო ,,პრორუსი“ რომ მიწოდოს ვინმემ, ან „პრო“-ს სრული ქართული სიტყვის სახეს მივცემ და თავზე ჩამოვაცვამ იმ მართლა „პრო“-ს.

კონსტანტინე გამსახურდიას ერთი ლიტერატურული პერსონაჟის გენიალური ნათქვამის მცირე პერიფრაზირებით გადაკეთებული აზრისა არ იყოს, ქვეყანას, რომელსაც ამდენი „პრო“... ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს.

თქვენ უბედურ დღეზე გაჩენილო პროებო, ვინ გირჩიათ ქართული ენის ,,გაუმჯობესების“ ასეთი ხერხი? კულტურიდან უკულტურობაში ბრუნდებით? ჩვენს ენაზე, ქართულ ენაზე მსოფლიო შედევრებია დაწერილი, ურთულესი ფილოსოფიური ნაშრომი, კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ უზადოდ ითარგმნა ქართულად, არ არსებობს ისეთი აზრი და ცნება ქართულად რომ არ გამოითქმებოდეს და თქვენი პრო...ების ნააზრევი ვერ გამოითქმება? თუმცა, თქვენ ხომ პრო-თი აზროვნებთ და ეგ ნამდვილად არ ითქმის, განა არ გამოითქმება ქართულად!!!

სამწუხაროდ, ჩვენში დემოკრატიაა და პრო...ესაც აქვთ უფლება, იცხოვრონ, მაგრამ ნამდვილი კაცების გვერდით პრო არ უნდ იჯდეს!

ასეა ეს!

ახლა ,,ნაცებზეც“ ვთქვათ!

მას შემდეგ რაც სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციური პარტია გახდა, მის წევრებს „ნაცებს“ უწოდებდა ყველა, ვისაც მათი ავადმოსაგონარი მმართველობა ახსოვდა. თავიდან მეგონა, რომ ამ სახელით აბუჩად იგდებდნენ და დასცინოდნენ მათ, მაგრამ მერე და მერე მივხვდი, რომ არავითარ ნეგატიურ აზრს ამ სახელში არავინ დებდა. ამიტომ იყო, რომ ე.წ. ნაცები ამგვარ სახელს სრულიად ნორმალურად მიიჩნევდნენ. ერთმა ნაცმა ლიდერმა საჯაროდ განაცხადა: ნაცებს რომ აბუჩად გვიგდებს ხელისუფლება, ჩვენ მათზე ნაკლები რითი ვართ, მე რომ ნაცი ვარ, ვისზე ნაკლები კაცი ვარო, კაცოო! ახლა ამან რომ იცოდეს, რას ნიშნავს ტერმინი „ნაცი“, იმას იტყოდა, ნაცი ვარ, მაგრამ კაცი ვარო!

ის, რაც ხევსურმა სახალხო მთქმელმა გათარეკა გაბიდაურმა იცის, ის არ იციან მედასავლეთეოოგაზე თავდადებულმა პროევროპელებმა! აი, ინტელექტუალური დეგრადაციის უტყუარი საბუთი. აი, რას ამბობს თავის გახმაურებულ ლექსში გათარეკა გაბიდაური:

„ნაცი“ დღევანდელ ქართულში, „ტრაპეა“ იცის ყველამ“...

გათარეკა გაბიდაურის ნათქვამი შეიძლება, ჩვენს პოლიტელიტას წაკითხული არ ჰქონდეს (გაზეთს ეგენი არ კითხულობენ და ჟურნალებს!), მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ მოსწავლეობისას მაინც არ აქვთ წაკითხული?! აი, რას ამბობს გენიალური რუსთაველი ავთანდილის პირით: **„ვაუკაცს დასვრის უგულობა, დიაცსა კი ბოზი ნაცი“**-ო. რა ყოფილა „ნაცი“? ფეხი, ხელი ან თავი ხომ არა? „ბოზი ფეხი“ მაგარია არა? ჰო და, შენ პოლიტიკოსო პროევროპელო, ნაცი შეიძლება, ამავე დროს, კაციც იყოს?

ისე, რომ, „პროპოლიტიკოსებს“ ვურჩევ, იმას ნუკი აკვირდებით ევროპელები, თუ ამერიკელები, რას ამბობენ და აკეთებენ, ის გაიგეთ, რასაც თქვენი წინაპრები ამბობდნენ და აკეთებდნენ, თორემ მალე საცინრად ასაგდები გახდებით არა მარტო ჩვენთან, არამედ ახლო თუ შორეულ სამეზობლოში.

* * *

ერთი ორიოდ სიტყვა იმაზეც უნდა ვთქვა, რა პიტალო უვიცობას ამჟღავნებენ ოპოზიციონერი „ხალხის რჩეულები“ პარლამენტის „ტრიბუნაზე შემდგარნი“ და სხვა თანამდებობის ჩონოვნიკები, სხვა რამეზე რომ არაფერი ვთქვათ, ელემენტარული ქართული ენის ცოდნაში, რაც, წესით, მეოთხეკლასელ მოსწავლეს არ ეპატიება და წერა-კითხვის უცოდინარ ბებიაჩემს – ოლღასა და სონასაც არ ჰქონდა სასაყვედურო ამ მხრივ. „არ მისული“, „არგაკეთება“, „არმიღება“, „კარგი არი“, „ცუდი არი“... რა დებილობაა ეს? ტელეეკრანთან მოწვეული კაცი, რომელმაც იცის რომ მთელ ქვეყანაში უსმენენ, ასე უნდა მეტყველებდეს? ან იმ ტელეწამყვანებს იმის პრეტენზია აქვთ, რომ მათ რესპონდენტს გულდაგულ უნდა ვუსმენდეთ ჩვენ?

ეს არის პოლიტელიტისა და უსაშველოდ მომრავლებული მედიასაშუალებების სრული დეგენერაცია! რა არის ამის მიზეზი, ნეტავი? ვინ მიხვდება ამას?

უჰ, დიდი სიძნელის ამოცანა დავსვი, აი? ალბათობისა და ფარდობითობის თეორიის გარეშე ვინ გამოიცნობს ამას?

ახლა, ცხონებული ბაბუაჩემი ცოცხალი რომ იყოს, მეტყოდა: რა გამოცნობა უნდა, მაგას, ბაბუ, ბაბუ, სკოლა არ გივარგათო, ალბათ!

კი, ბაბუ, კი, მაგრამ ე, მაგის მცოდნენი მაინც თუ არიან კიდევ, ამის გაგება მინდა-მეთქი, ვეტყოდი, მაგრამ...

პოლიტელიტის „ენობრივ შემოქმედებას“ მიმდევრებიც გამოუჩნდნენ, ჯერ ტელეეკრანებზე წამყვანებისა და ტელეექსპერტების სახით, მერე კი, ალბათ, მასაშიც გამოტყვრებიან წამბაძველები და ერთ დღეს, არა მარტო „იმედის“ დილაში ან „პირველის“ შუადღეში რომ ამბობენ ხოლმე, ჩემი მეზობელი ქსენიაც გასძახებს მეზობელს: „კატუშა, საშოპინგოდ მივდივარ და შოპინგობა თუ გინდა, შენც წამოდი და ერთად ვიშოპინგოთ!“

ხაშურში, ერთმა ჩემმა მეზობელმა თავის გარაჟში (მანქანის „ფარეხს“ რომ უწოდებს ზოგი „განათლებული“ ჩვენებური) პატარა სავაჭრო ფარდულიც გახსნა და ინგლისურად დააწერა „შოპ“-ი. პურის საყიდლად შევედი და ვკითხე „შოპის“ პატრონს, რა ენაზე აწერია ეს უცხო სახელი შენს ფარდულს-მეთქი. ინგლისურადო, – გაუკვირდა ჩემი უცოდინარობა. მერე, შე კაცო, ამ ხნის კაცი ვარ, ამ ქუჩაზე გავლილი ინგლისელი არ მინახავს და ახლა რამ გამოიწვია მათი დაინტერესება ხაშურის ამ ჩვენი გარეუბნით-თქო. სამაგიეროდ ჩვენს მეზობლებს უხარიათ „შოპ“-ში რომ ყიდულობენ პურსა და კვერცხსო.

ცნობილი რუსი იუმორისტი ზადორნოვის ერთი სატირული ხუმრობა გამახსენდა: რატომ უხარია ამ ხალხს „შოპ“-ში ვაჭრობა, ჟოპ-ში შესვლა უხარიათო ალბათ, – ხუმრობდა ის კაცი. სიტყვა „შოპი“ თუ რაიმე ასოციაციას გიქმნით, მიხვდებით ზადორნოვის ხუმრობის აზრს, თუ არა და ვისაც სურს, იყოს „შოპში“ და იშოპინგოს, ყველა ადამიანს აქვს არჩევანის უფლება, ზოგი „შოპში“ ყოფნას ირჩევს და ზოგი ქარვასლაში.

ისე რომ, ნუ მიბაძავთ პოლიტელიტას, თორემ, ბოლოს და ბოლოს, ყველანი „შოპში“ აღმოვჩნდებით. მითქვამს მე ეს!

ზურაბ ცუცქირიძე
„შოპში“ ყოფნისა და პრონაცებთან კოჰაბიტაციის რადიკალური მოწინააღმდეგე.

გარეკილ სააკაშვილს უკრაინული მაიდანი ესიზმრება!



„შეცდომა იქნება არჩევნებზე ზედმეტი იმედების დამყარება“, – აცხადებს „ვივამედის“ კლიენტ-პაციენტი საქართველოს მესამე პრეზიდენტი, – არჩევნები თუ ივანიშვილმა ჩაატარა, იცოდეთ, უდავოთ, გაყალბდება, ამიტომ არჩევნები უნდა ჩაატაროს დროებითმა ანუ გარდამავალმა, ტექნიკურმა მთავრობამ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს რუსეთი გადაყლაპავს. იმ დროს, როცა ჩვენთან არჩევნებია დანიშნული, ამერიკას ჩვენთვის არ ეცლება, რადგან იქაც საპრეზიდენტო არჩევნებია. „ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში ივანიშვილს აქვს იმედი, რომ ის მოუხსნის მას სანქციებს, თუ კიდევაც სახელმწიფო დეპარტამენტი მანამდე მას დაასანქცირებს. რუსეთი უფრო სუსტია მოკლე დისტანციაზე, მას აბნევს და აშინებს მოულოდნელობა, სპონტანურად შექმნილი ვითარება, ისეთი, ჩვენთან რომ არის ახლა. გრძელ დისტანციაზე, სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, ინფორმაციის გაყალბებით, ადამიანების მოსყიდვით რუსეთი ძალას იკრებს და მისი გამარჯვების შანსი იზრდება. ჩვენთვის ეს წაგებულ თამაშში შესვლაა. არ უნდა მივცეთ ეს შანსი რუსეთს. თავის დროზე იანუკოვიჩმა დასავლეთს მიმართა თხოვნით, მიეცათ მისთვის არჩევნების ექვსი თვით გადავადების უფლება. დასავლეთი დათანხმდა, დათანხმდა უკრაინის ხელისუფლებაც. ერთადერთი, ვინც არ დათანხმდა, იყო აჯანყებული მაიდანი და შედეგად იანუკოვიჩი გაიქცა. ასე რომ არ მომხდარიყო, უკრაინა იმ ექვს თვეში, გადაყლაპული ექნებოდა პუტინს. აუცილებელია ყველა ამ პროცესმა მშვიდობიანად ჩაიაროს. ხალხს დიდი ძალა აქვს“ – წერს სააკაშვილი.

ფაქტობრივად, პატიმარი ნაპრეზიდენტალი ხალხს მაიდნისკენ მოუწოდება, თანაც მშვიდობიანადო. იქნებ ბოლომდე გახსნას ფრჩხილი და მშვიდობიანი მაიდნის გეგმა დადოს. ან იქნებ უკრაინულ „მაიდანს შეწირული ადამიანები არავის ადარდებს და მათი დაღუპვაც მშვიდობიანად მოხდა?

პუტინის მარტოობის ასი წელიწადი

„ჩვენ შენ გვჭირდები, შენ რუსეთს სჭირდები“. — უთხრა სამხედროთა დაჯილდოების ცერემონიალზე ვლადიმერ პუტინს ვიცე-პოლკოვნიკმა არტიომ ჭოგამ შარშან დეკემბერში და მეხუთე ვადით გაპრეზიდენტება სთხოვა, რაზეც კრემლის ლიდერს თავპატიჟი არ დასჭირვებია. მეტი დამაჯერებლობისთვის არტიომ ჭოგას გვერდში ფრონტზე დაღუპული რუსი ბიჭების დედები ედგნენ...

პუტინმა მეხუთე ვადით იყარა კენჭი პრეზიდენტად. მისი არჩევა ბელგოროდსა და კურსკის ოლქებში აფეთქებებისა და, ყველაზე მთავარი, უკრაინის ომის ფონზე მიმდინარეობდა. ცინიკურია, რომ რუსეთმა საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატარა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე —აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

როგორ ჩაათავებს პუტინი მორიგ საპრეზიდენტო ვადას, ამის შესახებ ანალიტიკოსი ვახტანგ მაისაია გვესაუბრება.

— პუტინის არჩევა ომის კანდიდატის გამარჯვებას ნიშნავს, მაგრამ რუსები მას ვერ ელევიან ისევე, როგორც სტალინს ვერ ელეოდნენ. ფაქტია, პუტინი ბუნკერში მყოფი პრეზიდენტის იმიჯიდან ვერ გამოსულა, ალბათ, ამიტომაცაა, რომ ხმა ონლაინ მისცა. ამჯერად რას მოუტანს პუტინი რუსეთს და მთელ მსოფლიოს, რომელსაც მირთვული იარაღის უღარუნით აშანტაჟებს?

— ყველამ იცის, რომ რუსეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები მანიპულაციაა. პუტინის პოლიტიკა გაგრძელდება და კიდევ უფრო გამკაცრდება, რადგან პუტინმა გარკვეული ალგორითმები შეიმუშავა და ამ ალგორითმებს მიჰყვება, ამ ალგორითმებში აცხოვრებს თავის ქვეყანას. მან თავიდან მოიცილა და ქვეყნიდან გააძევა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მის აზრს ეწინააღმდეგებოდა. ზოგიერთები საპყრობილეში გამოკეტა, ზოგი გააქცია, პუტინს დასაკარგი არაფერი აქვს, ოჯახის წევრებიც არ ადარდებს, პირველი ცოლი და ორი ქალიშვილი არ ადარდებს, არც მეორე ცოლს **ალინა პაბაევას** და მისგან გაჩენილ შვილებს აქცევს ყურადღებას. პუტინი მარტოობაშია. მას უკვე დაეწყო მარტოობის ასი წელი. იგი თვითონ არის ტერორის შემქმნელი.

— მისი მთავარი ოპონენტი ნავალნი მკვდარია. არადა, ნავალნი ციხიდან მოითხოვდა წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას, რათა 71 წლის პუტინის 24-წლიანი მმართველობა დასრულებულიყო, რადგან პუტინმა რუსეთს ზიანი მოუტანა.

— ნავალნიზე არანაკლებ ძლიერი იყო **ბორის ნემცოვი** და ისიც გაუყენა „კუდიგორის გზას“. საქართველოსთან მიმართებით პუტინი არაფერს შეცვლის, პუტინს აქვს მანიაკალური იდეები, მაგალითად, ჩრდილოეთ-სამხრეთის გეოეკონომიკური პროექტის განხორციელება — სანკტ-პეტერბურგი-მუმბაი. როგორც ჩინეთმა მოახერხა, შეექმნა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ძლიერების ინდიკატორები და გახდა მსოფლიო გავლენის ცენტრი, პუტინსაც ასეთი პროექტის განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნია. კიდევ მეორე პროექტია — არქტიკული საზღვაო გზა, რაში სჭირდება ეს გზა, უცნობია, ყოველ შემთხვევაში, იგი ამ ორ პროექტზე მუშაობს და ცდილობს, ამით რუსეთს დაუბრუნოს იმპერიული დიდება. ომი უკრაინაში გაგრძელდება, კიდევ უფრო ინტენსიური გახდება, პუტინი მაინცდამაინც არ დაიხევს უკან დასავლეთთან მიმართებით, ამის შესახებ ბოლო ინტერვიუშიც განაცხადა წინასაარჩევნოდ პროპაგანდისტ კისილიოვთან, რომ მზად არის მირთვული ტრიადა მზადყოფნაში მოიყვანოს და სამხედრო პოტენციალით დაუპირისპირდეს დასავლეთს. პუტინისგან არაფერია მოულოდნელი, მან საკუთარი ხალხი ააფეთქა ბოლგოდონსკში და სხვაგან და ამით შექმნა ჩეჩნეთში შეჭრის პრეცედენტი. კურსკში როდესაც 200-მდე სამხედრო მეზღვაური იღუპებოდა და ჰკითხეს, ეს რატომ მოხდაო, პუტინმა უპასუხა, უბრალოდ, ჩაიძირა, მერე რა მოხდაო. მისთვის ადამიანის სიცოცხლე ღირებული არაა.

— როგორც წესი, მმართველობის მიწურულს დიქტატორები უფრო სასტიკები ხდებიან. ფიქრობთ, რომ ასე დაემართება პუტინსაც, რომელიც მისი მისამართით გამოთქმულ არაერთ ცინიზმს და შეურაცხყოფას იტანს? სულ ბოლოს შარლ მიშელმა ირონიით მიულოცა პუტინს „დამაჯერებელი გამარჯვება“ არჩევნებში.

— ცხადია, პუტინის ამ სისასტიკეს გრძნობენ დასავლეთის ლიდერები, ყოველ შემთხვევაში, გერმანიის ლიდერი **შოლცი**, ბრიტანეთის პრემიერიც ამავე აზრზე მოვიდა, **ტრამპიც** უკვე ასე უნდა ფიქრობდეს და, სავარაუდოდ, ტრამპი გახდება ამერიკის პრეზიდენტი.

— რა აღელვებს მაკრონს, რომელიც ოდესღაც ვლადიმერ პუტინის „სახის შენარჩუნებაზე“ საუბრობდა და უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგაც კი ორაზროვან გამონათქვამებს იშველიებდა პუტინის „გასაკეთილშობილებლად“?

— მაკრონს ის აღელვებს, რომ საფრანგეთმა დაკარგა გავლენის სფეროები აფრიკაში, საფრანგეთი ნამდვილად არ შეარჩენს პუტინს და არ შეეგუება ამ დანაკარგს, რომელიც მან რუსეთისგან მიიღო. ეს საფრანგეთისთვის ეროვნული სილის გაწვნაა. საფრანგეთის ინტერესები აფრიკაში საბჭოთა კავშირსაც კი არ დაუყენებია ეჭვქვეშ, საბჭოთა კავშირს არ დაუყენებია თავის ინტერესებზე მაღლა თვით ცივი ომის დროსაც კი. შესაძლოა, საბჭოთა კავშირი და ამერიკა იბრძოდნენ აფრიკის კონტინენტზე საკუთარი ინტერესების გასატარებლად, მაგრამ საბჭოთა კავშირი ყოველთვის ცნობდა საფრანგეთის ინტერესებს აფრიკაში. ამის გამო, თავის დროზე, **ბრეჟნევსა** და ლიბიის ლიდერ **კადაფს** შორის დაიძაბა ურთიერთობა, როდესაც ჯამაჰირიის ლიდერმა კადაფმა ბრეჟნევს სთხოვა შეიარაღება, სამხედრო ინსტრუქტორები და სამხედრო დახმარება, რათა განეხორციელებინა ჩადში ინტერვენცია. მაშინ ლეონიდ ბრეჟნევმა უარი უთხრა, რადგან ეს იყო საფრანგეთის გეოსტრატეგიული გავლენის ზონა. ყველაფერ ამის ფონზე პუტინმა პირველად მოახერხა ფრანგების საერთოდ გაძევება აფრიკიდან. საფრანგეთი ახლა ცდილობს, ეროვნული თავმოყვარეობა აღიდგინოს, ან სამაგიერო გადაუხადოს რუსეთს თავისივე გეოსტრატეგიული გავლენის ზონებზე.



მაკრონი მზად იყო, დასავლეთის ჯარი გაეგზავნა უკრაინაში, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგებს ამ ომში ფრანგი ჯარისკაცების გაგზავნის არანაირი სურვილი არა აქვთ.

— მაკრონმა ახლაც დაახლოებით იგივე გაიმეორა, თუ უკრაინაში ვითარება გაუარესდება, მზად ვიყოთ, მოვიქცეთ ისე, რომ რუსეთის გამარჯვება არ დავუშვათ. ეს კუნთების თამაშია, თუ მაკრონის ნათქვამს შედეგი მოჰყვება? მით უმეტეს, რომ მედვედევმა უკვე „შეამკო“ მაკრონი და მას ზოოლოგიური მშიშარა უწოდა.

— საფრანგეთი ახლა საკუთარ თამაშს თამაშობს. შემთხვევითი არაა, რომ სომხეთთან ავითარებს სპეციფიკურ ურთიერთობას, ცდილობს, რუსეთის ინტერესები შეიბღალოს კავკასიის რეგიონში, ასევე შავი ზღვის-პირეთში. მაკრონისთვის ეს ეროვნული თავმოყვარეობის ამბავია.

— ჯარს ნამდვილად გაუშვებს უკრაინაში, თუ გამნაღმველებით შემოიფარგლება? ფაქტია, ფრანგებმა შეარბილეს მაკრონის ნათქვამი და თქვეს, რომ მაკრონმა გამნაღმველები იგულისხმაო.

— ვერ გეტყვით, ვფიქრობ, მაკრონი უფრო ფრანგული სპეცლეგიონის ქვედანაყოფებს გადაისვრის. ლეგიონი ისეთივე კერძო სამხედრო კომპანიაა, როგორც „ვაგნერი“. კერძო სამხედრო კომპანიები რუსული ნოუ-ჰაუ ნამდვილად არ არის. რუსებმა ყველაზე გვიან შექმნეს კერძო სამხედრო კომპანიები, რაც ძალიან მაკვირვებს. სხვათა შორის, 1962 წელს ალჟირს, რომელიც გამოვიდა საფრანგეთის გავლენის სფეროდან, საბჭოთა კავშირმა სამხედრო დახმარების ნაცვლად გამნაღმველების სამხედრო მისია გაუგზავნა. ესეც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ალჟირი უფრო მეტს მოითხოვდა. ალჟირი სოციალისტური ორიენტაციის იყო და მიაღწია საფრანგეთისგან დამოუკიდებლობას. ცხადია, მედვედევიც ირონიით საუბრობს მაკრონზე, მას მშიშარას უწოდებს. ეს ნიშნავს, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შორის ჰიბრიდული ომი დაიწყო, უკვე შეიმჩნევა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირების ნიშნები. რუსულმა სამხედრო კომპანიებმა გააძევეს ფრანგული სამხედრო კონტინგენტი ბურკინა-ფასოდან, მალიდან, შეზღუდეს ფრანგების ინტერესები სენეგალში, მავრიტანიაში, ეს უკვე ჰიბრიდული ომის სამხედრო ნაწილის დემონსტრირებაა.

— პუტინმა რატომ გაუზედა მაინცდამაინც საფრანგეთს სამხედრო კონტინგენტის გაძევება აფრიკიდან და სხვებს რატომ ინდობს?

— პუტინს სურდა, მოეხდინა სრული მობილიზაცია ბრილიანტების და ოქროს საბადოებზე. პუტინი პირადად აკონტროლებს ოქროსა და ალმასების დამუშავებას რუსეთის ფედერაციაში, რაც აქამდე ვერც რუსეთის იმპერატორებმა, ვერც საბჭოთა ლიდერებმა, ვერც ელცინმა, ვერც ოლიგარქებმა ვერ შეძლეს, ალმასების ბიზნესი ყოველთვის მითიური და გაურკვეველი იყო, არავის ხელში არ იყო, პუტინმა კი შეძლო ალმასების ბიზნესის ხელში აღება. ამიტომაც შექმნა „ვაგნერის“ სამხედრო კომპანია. ეს ალმასები არის არა მხოლოდ რუსეთში, არამედ აფრიკაში - კონგოში, მალიში, ბურკინა-ფასოში, ანუ იმ ქვეყნებში, სადაც პუტინმა ახლა უკვე კერძო კომპანია „აფრიკული კორპუსის“ მეშვეობით თავისი სამხედრო ინტერვენცია მოახდინა და იქ პოზიციები გაიმყარა. ასევე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა დაიახლოვა რუსეთმა და ანტიდასავლური ორიენტაციის მქონე სახელმწიფოდ გახადა. როგორც ჩანს, სამხრეთ აფრიკის ბიზნესინტერესები და პუტინის ელიტის ინტერესები გადაიკვეთა. სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი რესპუბლიკა ახმოვანებდა კიდეც პრორუსულ ინიციატივას უკრაინასთან მიმართებაში. როგორც იარაღის ბიზნესია ოლიგოპოლიური, ისე ალმასების ბიზნესია სპეციფიკური.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

სტრასბურგის სასამართლომ ვახტანგ მაისაიას სარჩელი დააკმაყოფილა

სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე „მაისაია საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. საქმე შეეხება 2009-2010 წლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. კერძოდ, მომჩივანი — ვახტანგ მაისაია, 2009 წლის 5 მაისს ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. მომჩივნის განმარტებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა.

სასამართლომ საქმეზე „ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ“ დაყრდნობით მიუთითა, რომ 2012 წლამდე საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში დამკვიდრებული იყო პატიმართა წამებისა და არასათანადო მოპყრობის სისტემური და ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, რომელიც ხორციელდებოდა ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხრიდან. ამასთან, ვახტანგ მაისაიასთან მიმართებით, სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა მისი დაზიანებების ამსახველი საკმარისი მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებდა, რომ მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო.

რაც შეეხება გამოძიების ეფექტიანობას, სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ მომჩივანმა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიები ჯერ კიდევ 2010 წელს დააყენა, თუმცა გამოძიება წარიმართა ხარვეზიანად. კერძოდ, მას არ ჰქონდა პროცედურული შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო გამოძიებაში და თვალი ედევნებინა მისი პროგრესისთვის. ამასთან, გამოძიების პროცესში იყო გაუმართლებელი უმოქმედობის პერიოდები საგამოძიებო უწყების მხრიდან.

სახელმწიფოს დაევალა მომჩივნისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება 15,000 ევროს მოცულობით.

უკრაინის რადამ თანამდებობიდან მინისტრები გადააყენა

გადაყენებულია აგრარული პოლიტიკისა და საკვების მინისტრი მიკოლა სოლსკი და ვიცე-პრემიერი, ინფრასტრუქტურის მინისტრი ოლექსანდრ კუბრაკოვი. ამის შესახებ Telegram-ზე უკრაინელი დეპუტატი იაროსლავ ჟელეზნიაკი წერს.

მისივე ინფორმაციით, სოლსკის გადაყენებას 273-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

მიკოლა სოლსკის პროკურატურა 7 მილიონი დოლარის ღირებულების სახელმწიფო მიწის არაკანონიერ მითვისებას ედავება. სასამართლომ სოლსკი 1,9 მილიონი დოლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მას კიევიდან გასვლა და ყოფილ თანამშრომლებთან კომუნიკაცია ეკრძალება.

ვიცე-პრემიერის, ინფრასტრუქტურის მინისტრის ოლექსანდრ კუბრაკოვის გადაყენებას 272-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

„ვიცე-პრემიერი სხდომას არ ესწრებოდა, არც — პრემიერ-მინისტრი. მის ნაცვლად ვინ იქნება — უცნობია. როდის იქნება ახალი მინისტრის დანიშვნა, ესეც არავინ იცის“, — წერს ჟელეზნიაკი. კუბრაკოვის გათავისუფლებას უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი ანდრია ერმაკი ლობირებდა, რომელსაც სურს, რომ „თანამდებობა დატოვოს ყველა ხელმძღვანელმა, რომლებსაც აქვთ უფლება, ზელენსკისთან კაბინეტში პირდაპირ, ერმაკთან შეთანხმების გარეშე შევიდნენ.

პრა ნადიკვრის გაგუეებას?!

ნადიკვარი,თელავის შვიდ ბორცვთაგან ერთ-ერთი, მუდამ იზიდავდა სტუმარს თუ მასპინძელს.ამის მიზეზი ნათელია–ბალახის ჯეჯიმი,სუფთა ჰაერი და რაც მთავარია,პანორამული ხედი ალაზნის ველსა და კავკასიონზე. დროთა ვითარებაში ბორცვმა პარკის სტატუსი დაიმკვიდრა და ამის შესაბამისად აღიჭურვა ბავშვთა ატრაქციონებით,ხის საზაფხულო თეატრით, სასადილოთი და ფანჩატურებით. გორაკის კეხზე(დიახ, კეხზე! საიდანაც კავკასიონიც მოჩანს და ცივ–გომბორის ქედიც) დაირგა სამი ცაცხვი საჩრდილობლად და მათ ქვეშ დაიდგა გრძელი საზურგიანი სკამები.ერთი სიტყვით,პატარა ქალაქის კვალობაზე, პარკი ბავშვსაც აკმაყოფილებდა და ზრდასრულსაც, თანაც ისე რომ შენარჩუნებული იყო ბორცვის ყველა მისი ზემოთ ჩამოთვლილი ბუნებით ნაბოძები ღირსება. მაგრამ დადგა ოთხმოცდათიანი წლები.შეშად იქცა თეატრი, სასადილო, ფანჩატურები, სკამები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც იწვოდა და სითბოს გამოსცემდა.თუმცა ქაოსმა ვერაფერი დააკლო მთავარს–ნადიკვრის წინ გადაშლილ კავკასიონის და ალაზნის ველის პანორამას.და დაიწყო პარკის აღდგენა.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საარჩევნო 2012 წელი. რეაბილიტაციის შედეგად ჯაგნარისაგან გაიწმინდა ჩრდილოეთი ფერდი,აქვე მოეწყო სამავშვო ატრაქციონები.თუმცა, ბევრი გაუთვლელი ნაბიჯიც გადაიდგა.ფერდზე დაირგა ცაცხვები(ალბათ კეთილი განზრახვით. თუმცა იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა კეთილი განზრახვებით არის მოფენილი!). ფანჩატურების ნაცვლად ბორცვის კბოდეზე მოეწყო რკინაბეტონის გადასახედი ცხრა(!) ღია მოედანი(ალბათ ამის მესამედიც იკმარებდა,რადგან თავად ბორცვია ბუნებით ბოძებული გადასახედი!), აშენდა ორსართულიანი რკინაბეტონის კაფე–რესტორანი. ერთი სიტყვით, ბორცვი „გაინდუსტრიულდა“ და „დამძიმდა“, თუმცა ფუნქციონალურად ბევრი ვერაფერი შეიმატა.უფრო პირიქით(ფანჩატური კაცს წვიმა–მზისგან იცავდა,ღია მოედანი კი ამ ფუნქციას მოკლებულია). მოგვიანებით რამდენიმე ფანჩატური მოეწყო, თუმცა ეს ძირეულად ვერ ცვლის ვითარებას.

გამოხდა ხანი და კვლავ მოახლოვდა ამჯერად 2024 წლის არჩევნები და ნადიკვარიც კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა.შეიცვალა წყალგაყვანილობა, ელექტროსადენები, დაყენდა ჩვენი დროისა და ვითარებისათვის ძლიერ საჭირო სათვალთვალო კამერები. თუმცა მანამდე ძველ შეცდომას ახალი მიემატა– ამჯერად უკვე ბორცვის ზურგზე,საფეხმავლო ბილიკის გასწვრივ, დაირგა ცაცხვები და ცხენის წაბლები. საქმეში ჩაუხედავი კაცი გაიხარებს–ბოლოს და ბოლოს ნადიკვარზე მაინც შემდგარა წამყვან პოლიტიკურ ძალებს შორის „მწვანე“ კოჰაბიტაციაო. მაგრამ სასიხარულო არაფერია. როგორც მოსალოდნელი იყო, კავკასიონისაკენ მიმართულ ფერდობზე აღრე დარგული ნერგები საღღეისოდ მხარგაშლილ ცაცხვებად იქცა, რომლებმაც უკვე დაანაწევრა ცალკეულ „კადრებად“ ალაზნის ველის და კავკასიონის პანორამული ხედი(ვიღაც ბოროტი თითქოს საგანგებოდ არჩევს დიდვარჯიან ხეებს!). დროთა ვითარებაში ახლად დარგული წაბლი რომ გაიდგამს ფესვს და გაშლის მხრებს(ტოტებს),ნადიკვრიდან პანორამის დასანახი ადგილი სანთლით საძებარი გახდება!ყველაფერს,მათ შორის ხის დასარგავ ადგილს შერჩევა– ცოდნა რომ სჭირდება,მით უმეტეს ხედებით ცნობილ ნადიკვარზე, ამაზე მგონი არავინ დავობს.ამას წინათ,საინფორმაციო წყაროებმა გვახარეს–ნადიკვარს ამა და ამ ქვეყნის ელჩი ეწვია და სამახსოვროდ თავისი სამშობლოსთვის დამახასიათებელი ყვავილოვანი ხე დარგო.ღმერთმა გვიმრავლოს ელჩების სტუმრობა, მაგრამ ხის დარგვა თუ ტრადიციად იქცა,ნადიკვრის ტყე–პარკად ქცევას(რაც მისთვის მომაკვდინებელია) წინ არაფერი უდგას.

თუ აღრე ჩამოთვლილ მოვლენათა ჯაჭვს გავყვებით,ნადიკვრისთვის, პარკის სტატუსის მინიჭება, ბორცვის ბუნების ძეგლად აღიარებასაც გულისხმობს და მისი დაცვა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ევალება. ალბათ სასწრაფოდ, მაგრამ ხარისხიანად ნადიკვრის დაცვის კონცეფცია უნდა შემუშავდეს, რომლითაც(ნურავის ეწყინება!) თავად პარკის მოსარგებლეთა სურვილი და აზრიც იქნება გათვალისწინებული.

ერთი სიტყვით, ერთი ცნობილი ფილმისა არ იყოს, თელავს, მარკშეიდერი არა, მაგრამ ლანდშაფტის არქიტექტორი ნამდვილად სჭირდება. მანამდე კი ყველა ხე, რომელიც ფარავს (ან დაფარავს) პანორამულ ხედს, უნდა მოიჭრას! თორემ მალე, სხვა თუ არავინ,ილია ჭავჭავაძის უმცროსი მეგობარი არტურ ლაისტი მაინც გადაბრუნდება საფლავში –„ვისაც მთვარიან ღამეს ნადიკვრიდან ალაზნის ველი არ დაუნახავს...“ და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

ზურაბ არსენიშვილი

ჟურნალისტიკა დროის კვალდაკვალ

ცხინვალის ქართული პრესის ისტორია

გასული წლის მიწურულს დღის სინათლე იხილა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის (ჟურნალისტიკის სპეციალობით), საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრის, ჟურნალისტთა ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, „ღირსების ორდენის“ კავალერის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე მაჩაბლისა და თამაზ წივწივაძის პრემიების ლაურეატის როზერტ ოდიკაძის ავტორობით გამოქვეყნებულმა საინტერესო, სამაგიდო წიგნმა „ცხინვალის ქართული პრესის ისტორია.“

წიგნი მიზნად ისახავს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ქართული პრესის ისტორიის შესწავლას ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტის ურთულესი ვითარების ფონზე.

განხილული თემა მოიცავს ჩვენი რეგიონის პრესის ისტორიის ერთ კონკრეტულ, მძიმე მონაკვეთს – XX საუკუნის 80- 90-იანი წლებიდან დღემდე. კერძოდ, **იმ პერიოდის გამომზეურებას, რამაც დასაბამი მისცა ადგილებზე ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის გამწვავებას, რომელსაც ეთნოკონფლიქტი მოჰყვა. შედეგად იარაღის მუქარით წინაპართა სამკვიდროდან ათასობით ქართველი აიყარა და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა.**

ცხინვალის რეგიონის ქართული პრესა ცხრა ათეული წელზე მეტია, მკითხველის სამსჯავროზე გამოდის. პარტიის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ორგანო ,,საბჭოთა ოსეთის“ პირველი ნომერი (08.06.1933 წ.) დაუკავშირდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გასაბჭოების მეცამეტე წლისთავს. **რა გასაკვირია, რომ საოლქო გაზეთი, დღიდან დაარსებისა, კომპარტიის შეუცვლელი რუპორი იყო. მიუხედავად ამისა, ქართული პრესა ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების წარმოსაჩენად.**

წიგნი მოიცავს ყოფილ საოლქო გაზეთ ,,საბჭოთა ოსეთს,“ დევნილობისას გორში დაფუძნებულ ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ ,,შიდა ქართლს,“ ცხინვალის რეგიონის მწერალთა გაზეთ ,,ლიტერატურულ ცხინვალს“ და ცხინვალში გამომავალ ქართულენოვანი გაზეთის სამართალმემკვიდრე – ,,ცხინვალის მაცნეს” XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დღემდე. რაც შეეხება ,,საბჭოთა ოსეთს,“ მის შესახებ მოგვეპოვება სხვადასხვა დროს შესწავლილი და გამოქვეყნებული მასალები: ყოფილი საოლქო გაზეთის რედაქტორის მოადგილის, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის ოთარ ესიაშვილის მიერ მომზადებული საიუბილეო ბუკლეტი ,,საბჭოთა ოსეთი“ – 50,“ რომელიც ძირითადად ზოგადი, ინფორმაციული ხასიათისაა, მოკლებულია მეცნიერულ ანალიზს; ჟურნალისტ ალექსანდრე მღებრიშვილის სადისერტაციო ნაშრომში ,,ომამდელი პერიოდის ცხინვალის ქართული გაზეთი ,,საბჭოთა ოსეთი“ (1933-1940)“ – საგნობრივად, მეცნიერულად, საინტერესოდაა გააზრებული გაზეთ ,,საბჭოთა ოსეთის“ ერთი კონკრეტული მონაკვეთი.

აღნიშნული ნაშრომი პირველი ცდაა ცხინვალის რეგიონის ქართული პრესის ისტორიისა, კონკრეტულად, მისი ერთი მონაკვეთის (XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დღემდე) სიღრმისეული, მეცნიერული გააზრებისა დიდი, პატარა ლიახვის, ფრონესა და ქსნის ხეობების მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული ვითარების ფონზე. თემის აქტუალობას განაპირობებს ქართულ მასმედიაში მიმდინარე დემოკრატიზაციის, თავისუფალი პრესის დამკვიდრების პროცესები. მასში ხაზგასმულია, რომ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მწვავედ დგას ეროვნული პრობლემა. ამ საკითხმა განსაკუთრებით წინ წამოიწია ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, რაც ეროვნებათშორისი დაპირისპირებებით ვლინდება. ეს კონფლიქტები ჩვენში, გარეშე ძალთა წაქეზებითა და მხარდაჭერით ხორციელდება გარკვეული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამგვარად წარმოიშვა საქართველოში ოსური და აფხაზური სეპარატისტული მოძრაობები, რომელთაგან მიყენებულ ჭრილობებს ივერთ სამკვიდრო დიდხანს ვერ მოიშუშებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს პრესას დიდი სიფრთხილე მართებს, რათა დაინტერესებულ პოლიტიკურ ძალთა ანკესზე არ წამოეგოს და ეროვნებათშორისი კონფლიქტების გასაღვივებლად საბაბი არ მისცეს შინაურ თუ გარეულ მტრებს.

საუკუნის მიწურულს საქართველოს თუ რა უბედურება მოუტანა საზოგადოების ეროვნული შეუწყნარებლობის იდეის პროპაგანდამ პრესის ფურცლებზე. ეს თვალნათლივ წარმოჩინდა ოსური და აფხაზური სეპარატისტული მოძრაობების ნიადაგზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია, თუნდაც, აფხაზური წერილი, სადაც დამცირებული და შეგინებულია ქართველი კაცის ეროვნული ღირსება, რასაც აფხაზთა და ქართველთა კონფლიქტი მოჰყვა. შემდეგ კი სისხლისმღვრელი შეტაკებები ერთწლიან ომში გადაიზარდა და უდანაშაულო ადამიანთა უმოწყალო ხოცვა-ულეტითა და გენოციდით დაგვირგვინდა.

ასე რომ, წიგნში ძირითადად მნიშვნელობა ენიჭება ცხინვალის ქართული რეგიონული პრესის ისტორიის იმ პერიოდის შესწავლას და დღის სინათლეზე გამოტანას, რამაც დასაბამი მისცა ადგილებზე ორ მოძმე-მონათესავე – ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის გამწვავებას.

გორში დაფუძნებული ცხინვალის დევნილი გაზეთები ,,შიდა ქართლი“ და ,,ლიტერატურული ცხინვალი“ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ პრესაში. ,,რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!,“ ,,სიმართლის გამარჯვებასა, მთაზე არწივი ჰყიოდეს!“ – აი, ,,შიდა ქართლელთა“ და ,,ლიტერატურულ ცხინვალელთა“ მთავარი და უცილობელი სამოქმედო ორიენტირი.

საგულისხმოა ცხინვალიდან დევნილ ჟურნალისტთა მიზანსწრაფვა პროფესიული სიყვარულისა და დაუოკებელი საკუთარი კულტურული მემკვიდრეობისადმი. დევნილობის ჟამს მისასალმებელია მათი ძალისხმევით გორში მასობრივ ინფორმაციის საშუალებათა დაფუძნება-ამოქმედება.

თუ ,,შიდა ქართლი“ ცხინვალში გამომავალ ერთადერთ ქართულენოვან გაზეთ ,,საბჭოთა ოსეთის“ სამართალმემკვიდრედ ითვლება, წიგნში ახალი კუთხითაა წარმოჩენილი ,,ლიტერატურული ცხინვალი.“ სიახლე ისაა, რომ იგი პირველი მერცხალია, პირველი ქართული ლიტერატურული მრავალგვერდიანი გაზეთია ჩვენი რეგიონის მწერალთა და, საერთოდ, სამაჩაბლოელ შემოქმედებით ინტელიგენტთა ცხოვრებაში.

ცხინვალში გამომავალი ქართული გაზეთის რედაქტორების მრავალმხრივ შემოქმედებაზე მსჯელობისას პრიორიტეტს ვანიჭებთ არჩილ მამისაშვილის ჟურნალისტურ მოღვაწეობას, რომელიც სამი ათწლეულის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა საოლქო ქართულ გაზეთ ,,საბჭოთა ოსეთის“ რედაქციას.

წიგნი ოთხი თავისა და სამი ქვეთავისაგან შედგება. მასში ცალ-ცალკეა განხილული ,,ცხინვალის დევნილი პრესის წინამძღვრები“ (ქართული გაზეთი ,,საბჭოთა ოსეთი,“ ხელნაწერი ჟურნალები: ,,ლიახვი,“ ,,აისი,“ ,,რიურაჟი“), პირველი დევნილი გაზეთი ,,შიდა ქართლი,“ მწერალთა გაზეთი ,,ლიტერატურული ცხინვალი“ და გაზეთი ,,ცხინვალის მაცნე.“

წიგნი დაიმეჭდა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის (შემოქმედებითი კავშირის) გამგეობის რეკომენდაციით და ეძღვნება ცხინვალის ქართულენოვანი გაზეთის დაარსების 90 წლისთავს.

თინა კვალინიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ჰეიდარ ალიევი:

ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობა სამაგალითოა მთელი მსოფლიოსთვის

აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობებზე

ჩვენ ყოველთვის გულწრფელი ძმობის გრძნობით ვაკვირდებოდით საქართველოს ცხოვრებას, საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს და ყოველთვის გვიხაროდა ჩვენი მეგობრებისა და ძმების მიღწევები და წარმატებები.

აზერბაიჯანსა და საქართველოს აკავშირებს მათი ისტორიული ბედის ერთიანობა, მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება და მეგობრული მეზობლობა.

თბილისი ჩვენთვის ყოველთვის საყვარელი ქალაქი იყო, საქართველო კი – ყოველთვის საყვარელი ქვეყანა.

ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ათასობით ფაქტი და მაგალითი, რომელიც ადასტურებს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობას მეზობლად ცხოვრების მთელი ისტორიის მანძილზე. ჩვენი ხალხის ყველაზე დიდი მიღწევა ის არის, რომ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის არასოდეს ყოფილა სერიოზული კონფლიქტი, კამათი და წყენა.

* * *

აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობა ემყარება ისტორიულ ფესვებს და ეს იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ყველა საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნების მართვის თითქმის ყველა საფეხურზე ერთმანეთს ემთხვევა, არსებობს ურთიერთგაგება. მიზნები და სახელმწიფო აზრები.

სახელმწიფო სტრუქტურებს შორის არავითარი პრობლემა არ არის. ეს კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა ჩვენი ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ. ამ კონტექსტში, შეიძლება აღვნიშნოთ აზერბაიჯანელი ხალხის საყოველთაო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის დამსახურება. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის პოლიტიკურ ხელისუფლებაში დაბრუნდა ჰეიდარ ალიევი, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა დროს ჩაუყარა საფუძველი საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობას, დღის წესრიგში კვლავ დადგა ამ მეგობრულ და მოძმე ქვეყანასთან სტრატეგიული თანამშრომლობის მოწესრიგების საკითხი. საყოველთაო ეროვნული ლიდერი, რომელიც ამბობდა, რომ „საქართველოსა და აზერბაიჯანს აქვთ თანამშრომლობის დიდი შესაძლებლობები“, ძალისხმევას არ იშურებდა ამ შესაძლებლობების განსახორციელებლად.

ნავთობის, გაზისა და სატრანსპორტო გლობალური პროექტების რეალიზაცია არის სწორედ ამგვარი ურთიერთგაგებისა და გულწრფელი თანამშრომლობის ნაყოფი. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ძალები გამოდიოდნენ ამ პროექტების წინააღმდეგ და რა გზებს მიმართავდნენ, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ მათი რეალიზაციისთვის. მაგრამ ამ ქვეყნების როგორც ადრინდელი, ასევე ამჟამინდელი ხელმძღვანელების პრინციპულმა პოზიციამ, ძმურმა ურთიერთობებმა ხელი შეუწყვეს ამ წინააღმდეგობათა დაძლევას და აღნიშნული გლობალური პროექტები, რომლებიც ემსახურებიან როგორც აზერბაიჯანელი, ასევე ქართველი ხალხის მომავალ კეთილდღეობას და კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენს მეგობრობას, რეალობად იქცნენ.

შემთხვევითი არაა, რომ დღეს საქართველოს დედაქალქის ერთ-ერთი დიდი ქუჩა ატარებს ჰეიდარ ალიევის სახელს. სწორედ ამ ქუჩაზეა აღმართული აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის ძეგლი. ყველაფერი ეს შეიძლება შეფასდეს როგორც ქართველი ხალხის მადლიერება ჰეიდარ ალიევის მიმართ, რომელმაც გამოიჩინა რა დიდი გამბედაობა და პოლიტიკური ნება, მიაღწია ნავთობისა და გაზის მსხვილი მილსადენების გაყვანას სწორედ საქართველოს ტერიტორიის გავლით.

ერთობლივი ძალისხმევა რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, პოლიტიკური კონსულტაციები, ეკონომიკური თანამშრომლობა, საერთო ენერგეტიკული პროექტები და აგრეთვე ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების გამაერთიანებელი ისტორიული მეგობრობა და ძმობა საშუალებას გვაძლევს დღეს დამაჯერებლად ვილაპარაკოთ იმაზე, რომ „ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა მეგობრობა სამაგალითოა მთელი მსოფლიოსთვის“.

* * *

როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკის დღევანდელმა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აღნიშნა, „აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში. ჩვენი მეგობრული და ძმური ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ხალხებისთვის, ასევე ჩვენი ქვეყნისთვის და დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობა, ისევე როგორც სხვა სფეროებში, დასტურდება აგრეთვე აზრთა ერთიანობით და ერთმანეთის პოზიციების მხარდაჭერით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა განხილვა ხდება მაღალ საერთაშორისო ფორუმებზე. ასეთ პარტნიორობას მყარი საფუძველი აქვს.

დღეს აზერბაიჯანის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება სამართლებრივი, საერო სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შედეგია. პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ჰეიდარ ალიევის პოლიტიკურ კურსს აგრძელებს. მუდმივად ამახვილებს ყურადღებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ჩვენი ერის ისტორიული წარსულის შესწავლა.

პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხაზი, მთელი თავისი კონტურით, ემსახურება აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შემდგომ განმტკიცებას და ჩვენი მარადიული და ურყევი სახელმწიფოებრიობის კიდევ უფრო განმტკიცებას. ჩვენი ქვეყანა პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ხელმძღვანელობით უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე, ხოლო დღევანდელი თანამედროვე დამოუკიდებელი, გამარჯვებული აზერბაიჯანი არის ის აზერბაიჯანი, რომლის ნახვაც ეროვნულ ლიდერ ჰეიდარ ალიევს სურდა.

დღეს ეროვნული ლიდერის და ყველა აზერბაიჯანელი გმირის სული ბედნიერია, რადგან წმინდა მისია შესრულდა. გამარჯვებულმა მთავარსარდალმა ილჰამ ალიევმა 44 დღეში დაასრულა 30-წლიანი სომხური ოკუპაცია.

სწორედ პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ხელმძღვანელობით, რომელმაც იმდროინდელი მოთხოვნების შესაბამისად გააგრძელა დიდი ლიდერის მიერ დაარსებული ბრძნული და კარგად გააზრებული პოლიტიკა, აზერბაიჯანი გახდა მშვიდობის ძლიერი ხმა, ანგარიშგასაწევი ძალა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

სტატია ქვეყნდება ახალგაზრდული ცენტრის „ალიანსის“ პროექტის „ჩვენი მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაცია“ ფარგლებში.

ირანელ კინორეჟისორს გაროზგვა და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

ირანის სასამართლომ ცნობილ კინორეჟისორს მოჰამად რასულოფს განაჩენი გამოუტანა და გაროზგვა და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მისმა ადვოკატმა ბაბაქ ფაქნიამ 8 მაისს სოციალურ ქსელში განაცხადა, რომ მის კლიენტს მხოლოდ ხუთი წლით მოუწევს

საპატიმროში ყოფნა, მაგრამ დაჯარიმდება და ქონებას ჩამოართმევენ.

ფაქნიას თქმით, მოჰამად რასულოფი გაასამართლეს „ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ შეთქმულების“ ბრალდებით.

დასავლელმა უფლებადამცველებმა და კინომრეწველობის წარმომადგენლებმა დაგმეს ირანის ქმედებები რასულოფის წინააღმდეგ და მოითხოვეს მისი გათავისუფლება.

რასულოფის ფილმი სახელწოდებით „წმინდა ფიკუსის თესლი“ (**The Seed Of The Sacred Fig**) ამ თვეში კანის კინოფესტივალზე იქნება ნაჩვენები. კინორეჟისორმა 2020 წელს ბერლინის კინოფესტივალზე მთავარი პრიზი მოიპოვა ფილმისთვის „ბოროტი არ არსებობს“. ფილმში მოთხრობილია ოთხი ამბავი, რომლებიც დაკავშირებულია ირანში სიკვდილით დასჯის თემასთან და ჩაგვრის პირობებში მყოფი ადამიანების თავისუფლებაზე.

ბაიდენი ისრაელს დაემუქრა, რომ რაფაჰზე იერიშისთვის იარაღს არ მიაწვდის

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ისრაელს დაემუქრა, რომ დამატებით შეუზღუდავს ამერიკული სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას, თუ ის ქალაქ რაფაჰზე ფართო იერიშს დაიწყებს.

ბაიდენმა ტელეარხ **CNN**-ს უთხრა, რომ აშშ რაფაჰზე იერიშისთვის ისრაელს იარაღს არ მისცემს. აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, მან ეს ისრაელის მთავრობის მეთაურს ბენიამინ ნეთანიაჰუს, მკაფიოდ განუცხადა.

ბაიდენმა თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა სამოქალაქო მოსახლეობის მდგომარეობის გათვალისწინებით. მისი თქმით, ღაზის სექტორის მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში შეჭრა არასწორია. თუმცა მან თქვა, რომ ისრაელის დაცვისთვის ვალდებულებას კვლავაც გრძნობს და ე.წ. „რკინის გუმბათის“ – ანტისაჰაერო სისტემისთვის გადამტან რაკეტებს და სხვა თავდაცვით იარაღს კვლავაც მიაწვდის ამ ქვეყანას.

მომავალი ქართველი მოქანდაკეები ლევილში

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ლევილის შემოქმედებითი რეზიდენციის პირველი სტუმრები სამხატვრო აკადემიის ქანდაკების მიმართულების სტუდენტები არიან.

მაგისტრატურისა და საბაკალავრო საფეხურის შვიდი სტუდენტი უკვე ლევილის ქართველთა მამულში იმყოფება. ისინი ადგილზე მუშაობენ საკუთარი ნამუშევრების შესაქმნელად, რომლებიც მამულის პარკში სამუდამოდ განთავსდება. ნამუშევრების პრეზენტაცია ლევილის ქართული ფესტივალის გახსნის დღეს, 24 მაისს, შედგება.

სამეფო ნაციონალურ ბალეტს – ტრადიციული სასცენო სამოსი გადაეცა

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ა(ა)იპ „სამეფო ნაციონალურ ბალეტს“ ტრადიციული სასცენო სამოსი გადასცა.

მათივე ცნობით, ანსამბლს გადაეცა 20 „ხევსურულის“ კომპლექტი ვაუებისთვის (ჩოხა, გულისპირი, ქუდი, პაჭიჭი) და 10 „ხევსურულის“ კომპლექტი ქალებისთვის (კაბა, მოსასხამი, ქუდი).

„ანსამბლისთვის სასცენო სამოსი ტენდერის შედეგად შერჩეულმა კომპანია „ფაფანაკმა“ შეკერა.

ფოცხიშვილების ქორეოგრაფიული დინასტიის ფუძემდებელი გელოდი ფოცხიშვილი იყო. 1963 წლიდან მოყოლებული, მისი ხელმძღვანელობის პერიოდშიც და დღესაც, ანსამბლი მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე მართავს კონცერტებს, ავითარებს ქართულ ქორეოგრაფიას და ემსახურება ქართული კულტურის განვითარებას. ქორეოგრაფიასთან ფოცხიშვილების მჭიდრო კავშირი 1955 წლიდან იწყება, პროფესიონალურ სცენაზე მოღვაწეობა კი – 1963 წლიდან, რაც უკავშირდება ცეკვის თეატრ „მეტეხის“ დაფუძნებას, დღეს კი უკვე – „სამეფო ნაციონალურ ბალეტს“. ანსამბლი რამდენიმე ათეული წელია, გამოდის მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე. ფოცხიშვილების ქორეოგრაფიული დინასტია აერთიანებს სასწავლებლებს – „ფოცხიშვილების ცეკვის აკადემიას“ და ცეკვის სტუდია „პატარა ვარსკვლავებს“, რომლებიც ასევე დიდი წარმატებით საქმიანობს და სადაც მომავალ თაობას ცეკვის ხელოვნებას ასწავლიან.

2008 წელს გელა ფოცხიშვილისა და მაია კიკნაძის იდეით ჩამოყალიბდა „საქართველოს სამეფო ნაციონალური ბალეტი“, რომლის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი პროდიუსერია გელა ფოცხიშვილი. ანსამბლის მთავარი ბალეტმეისტერია მაია კიკნაძე.

მნიშვნელოვანია, რომ „სამეფო ნაციონალური ბალეტი“ კვლავ მონაწილეობს 2024 წლის ლევილის ქართულ ფესტივალში, რომელიც საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მეორედ იმართება.

ინფორმაციისთვის: შესაფერისი ხარისხის, ინდივიდუალური ესკიზების მიხედვით შექმნილი ტრადიციული სასცენო სამოსის ნაკლებობა სახელმწიფო და კერძო ფოლკლორული ანსამბლების წინაშე არსებული ერთ-ერთი აქტუალური გამოწვევაა.

საქართველოს ტურისტულ პოტენციალს დუბაიში ეცნობიან

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სპარსეთის ყურის ქვეყნებში უდიდეს ტურისტულ გამოფენაზეა **ATM Dubai**-2024 წარმოდგენილი.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მიმდინარე ტურისტულ გამოფენაში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან ერთად, იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია, ასევე 30-მდე ტურისტული კომპანია და სასტუმრო მონაწილეობს.

ATM Dubai-2024-ზე, საქართველოს სტენდთან, გამოფენების სტუმრები ეცნობიან საქართველოს ტურისტულ ადგილებს, სამთო, საზღვაო კურორტატორები და დაცულ ტერიტორიებს.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, დუბაის საერთაშორიო ტურისტული გამოფენის სტუმრებისთვის, გერმანული როკის ლეგენდას **Scorpions**-ისა და ბრიტანული ელექტრონული მუსიკის პროექტის „**Jungle**“-ს კონცერტებზე დასასწრებად ბილეთები გაათამაშა. კამპანია „**STaring jorjias**“ ფარგლებში კონცერტები **Black Sea Arena**-ზე გაიმართება.

დუბაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას 40 ათასზე მეტი სტუმარი ჰყავს. გამოფენაზე 150-ზე მეტი ქვეყნიდან 2300 კომპანია და ტურისტული ორგანიზაციაა წარმოდგენილი.

◎ სულიერება

კვირაცხოვლობა — დღესასწაული სიცოცხლისა

12 მაისს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს ახალ კვირას, აღდგომიდან მეორე, იგივე თომას კვირას, კვირაცხოვლობას.

...აღდგომის კვირას იესო ქრისტემ ყველა მოციქული ნახა, თომას გარდა. თომა მოციქული გვიან მოვიდა. მოწაფეებმა უთხრეს: „ჩვენ უკვე ვნახეთ უფალი!“

ერთი კვირის შემდეგ მოწაფეები კვლავ შეიკრიბნენ, მოწაფეებთან იყო თომაც.

იესო ქრისტე კვლავ გამოეცხადა და უთხრა: „მშვიდობა თქვენდა“! მერე კი თომას მიუბრუნდა და მიმართა: „მომეცი ხელი და შეახე ჭრილობას ჩემი გვერდისას და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ იყავი „მორწმუნე“.

საგულისხმოა, რაც წერია გადმოცემაში; თომამ შეჰღაღადა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“. იესომ უთხრა: **„შენ ირწმუნე რადგანაც მნახე, მაგრამ ნეტარ არიან ისინი, ვინც არ მიხილეს და ირწმუნეს“!**

მოციქულ თომას კვირას დღესასწაულზე, ლიტურგიაზე იკითხება სათანადო მონაკვეთები სახარებიდან...

კვირაცხოვლობის მადლი შეგეწიოს, სრულიად საქართველო!

გიული ლიპარტია

წაჩხურობა სალხინოში

გუშინ წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში სადღესასწაულო ლოცვა ჩატარდა

ამ საოცარ ადგილას მთელი საქართველოდან მომლოცველები ჩამოდიან, მათ შორის უმეტესად უშვილო წყვილები.

ისინი ტაძრამდე გზას წინაღამით ფეხით და აკვნებით ხელში მიუყვებიან. წაჩხურობა მარტვილის სოფელ სალხინოში, მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში ყოველწლიურად აღინიშნება, აღდგომის მომდევნო კვირაში, გრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათს. დღევანდელი ტაძრის ადგილას VII საუკუნის ეკლესია მდგარა, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ განახლებულმა, XVIII საუკუნის ტაძარმა მოაღწია. წაჩხურობას მთავარანგელოზის ეკლესიაში უშვილო წყვილები მთელი საქართველოდან მიდიან მოსალოცად და წაჩხურუს მთავარანგელოზის ხატს წყალობას შესთხოვენ. მომლოცველებს პატარა აკვნები (ზოგჯერ აკვანში თოჯინაც წევს) მიაქვთ ეკლესიაში.

წაჩხურობის დღესასწაულზე ტარდება სპეციალური წირვა უშვილოებისთვის, მათ ლოცვებში იხსენიებენ და წყვილები ეზიარებიან. გარდა მთხოვნელებისა, ამ დღეს ტაძარს ბევრი მადლიერი ადამიანიც სტუმრობს. ცნობილია, რომ წაჩხურობას წარმართული დღესასწაული უდევს საფუძვლად, რომელიც შემდეგ მცირედი სახეცვლილებით ქრისტიანულ კულტურას შეერწყა. დღესასწაულზე სოფელ წაჩხურში ყველა ოჯახში საგანგებოდ იშლება სუფრა, ყველა ადამიანს შეუძლია, ნებისმიერ ეზოში შესვლა და დაპურება. ითვლება, რომ ვინც მეტ სტუმარს უმასპინძლებს, მადლი იმ ოჯახზე გადმოვა. წაჩხურობის დღესასწაული ერთ-ერთი საინტერესო და გამორჩეულია უძველეს ქართულ დღესასწაულებს შორის, რომელმაც დღემდე მოაღწია და რომელშიც ჩანს ქრისტიანობასთან მორგებული და შერწყმული წინარექრისტიანული კულტურის კვალი.

საქართველოში ჰაერის დაბინძურება დასაშვებ ნორმებს სამჯერ აღემატება

საქართველოში ჰაერის დაბინძურების ეროვნული საშუალო მაჩვენებელი სამჯერ ან მეტჯერ აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაწესებულ დასაშვებ სტანდარტს.

„**UNDP Georgia**“-ს ინფორმაციით, 11 მაისს, ევროპის დღეზე, გაცხადდება, თუ როგორ უწყობენ ხელს ევროკავშირი და გაერო ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოებას, რეფერენს-ლაბორატორიის შექმნას და სამრეწველო ემისიების რეგულირებას.

მათივე ცნობით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მობილურ ლაბორატორიაში, გაეცნობით ჰაერის ხარისხის მონიტორინგის თანამედროვე მეთოდებს და თავად შეძლებთ ადგილზე არსებული დაბინძურების გაზომვას.

◎ ხელბურთი

შანსი ისევ გვრჩება

გუშინ „თბილისი არენაზე“ საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა პირველად მიიღო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება და პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში ავსტრიის გუნდს უმასპინძლა, რომელმაც იანვარში ჩვენთვის ისტორიულ ევრო-ფორუმზე გერმანიაში ტურნირს მიღმა თვით ისეთი მრისხანე მეტოქე დატოვა, როგორიც ფავორიტი ესპანეთია.

საქართველო – ავსტრია 25:27.

საპასუხო მატჩი 12 მაისს ვენაში გაიმართება.

◎ ოკეანის გაღმა-გამოღმა

„სირტაკი“ ევროლიგაში

ევროლიგის ოთხთა ფინალში ყველა მოუთმენლად ელოდა ესპანური ელ კლასიკოს პლეი-ოფს, მაგრამ საქმეში ბერძნული გრანდების ჩარევამ კალათბურთის მოყვარულები სხვა რეალობის წინაშე დააყენა – სავსებით შესაძლებელია, ყველაზე პრესტიჟული კონტინენტური საკლუბო ტურნირი ელადური სატიტულო ბრძოლით დაგვირგვინდეს.

შეგახსენებთ, რომ ყველაზე ადრე ელიტურ კვარტეტში რეგულარული სეზონის გამარჯვებულმა მადრიდელებმა გააღწიეს, რომლებმაც სამივე მატჩი უპრობლემოდ მოუგეს თანამემამულეთა ბასკონიას, დანარჩენ წყვილებში კი ოთხ-ოთხი შეხვედრის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო – 2:2 და უძლიერესის გამოსავლენად დამატებითი მეხუთე რაუნდი დაინიშნა.

შედარებით იოლად მიაღწია მიზანს პანათინაიკოსმა საკუთარ დარბაზში დასკვნით პერიოდში მაკაბის გატეხვით – 81:72, ხოლო დანარჩენებმა მართლაც ომში იმძლავრეს.

ბარსელონა – ოლიმპიაკოსი 59:63. მასპინძლებმა კარგად დაიწყეს და კარგახნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ უპირატესობას, მაგრამ ბოლომდე ვეღარ გაქაჩეს. პირეოსელები პირველად საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე დაწინაურდნენ და კატალონიელები გაწბილებული დატოვეს.

მონაკო – ფენერხბახჩე 79:80 (დამატებით დროში). კიდევ უფრო დრამატულად განვითარდა მოვლენები მონტე კარლოში, სადაც კვანძის გასახსნელად ძირითადი 40 წუთი საკმარისი არ აღმოჩნდა. თრილერის გმირი **ნიკ პალატესი** გახდა 2 გადამწყვეტი სამქულიანის ჩაგდებით, სამთავროელთა თავკაცის ასისტენტ **მანუჩარ მარკოიშვილს** კი სულ მცირედი დააკლდა სამწვრთნელო ასპარეზზე პირველ ხმაურიან წარმატებამდე.

ნახევარფინალში ითამაშებენ: რეალი – ოლიმპიაკოსი, ფენერბახჩე – პანათინაიკოსი.

NBA. აღმოსავლეთის კონფერენცია: პლეი-ოფი. **ნიუ იორკი – ინდიანა 130:121** (სერია – 2:0).

◎ ჩემპიონთა ლიგა

ნოიერის ბედისწერა

ასეთია მეკარის ხვედრი – უმძიმესი ტრავმის მოშუშებისა და გაჭიანურებული რეაბილიტაციის შემდეგ მწყობრში დაბრუნებულმა მანუელ ნოიერმა არაერთხელ იხსნა პარტნიორები ხიფათისგან, მაგრამ მრისხანე მეტოქესთან საპასუხო დუელის 88-ე წუთზე ბავშვური შეცდომა დაუშვა და, რომ იტყვიან, ყველაფერს ხაზი გადაუსვა. ხომ გახსოვთ, იგივე დაემართა 2002 წლის მუნდიალის ფინალში ოლივერ კანსაც.

რეალი – ბაიერნი 2:1
(პირველი მატჩი 2:2)

2013 წლის ჩემპიონთა ლიგის გერმანულ ფინალს უემბლიმ უმასპინძლა და რადგანაც 1 ივნისს წლევანდელი ტურნირის სატიტულო ბრძოლაც ფეხბურთის სამშობლოს მთავარ სარბიელზეა დანიშნული, თითქოს ამჯერადაც მაშინდელი სპექტაკლის პერსონაჟთა მონაწილეობით დადგმული ახალი სანახაობით უნდა დავმტკბარიყავით, მაგრამ განგებამ ასე არ ინება.

როგორც მოგეხსენებათ, რეკორდმაისტერმა სეზონი ჩააგდო და კომპენსაციამდე 2 წუთი დააკლდა. შეხვედრაში მთავარი სიტყვა დუბლიორებმა თქვეს – ჯერ დევისმა ისარგებლა კვლავაც უტიტულოდ დარჩენილი კეინის ზუსტი გადაცემით და ინდივიდუალური გარღვევა დიდოსტატური გასროლით დაასრულა, ხოლო კრიტიკულ ვითარებაში სამეფო კლუბს ხოსელუს დუბლმა უშველა ისევე, როგორც ბოლო წუთზე პოლონელმა მსაჯმა მარცინიაკმა.

აღსანიშნავია, რომ კარლო ანჩელოტი კოლეგათათვის საოცნებო მეექვსე ტრიუმფს მიუახლოვდა.

პარი სენ-ჟერმენი – ბორუსია 0:1
(პირველი მატჩი 0:1)

მთლიანად ტურნირის განმავლობაში ფრანგებმა ბურთი მეტოქეთა კარის ძელს 20-ჯერ(!) მოახვედრეს, მათ შორის პირველ ნახევარფინალში – ორჯერ და საკუთარ მინდორზე – ოთხჯერ(!).

ფატალური უიღბლობის გარდა, არც დორტმუნდელთა მესაჭის **ედინ ტერზიჩის** ტაქტიკური ალღოს დაუნახაობა ეგების, უბერებელი ვეტერანის **ჰუმელსის** ზუსტი თავური დარტყმა კი საკონტროლო გასროლა აღმოჩნდა.

კონფერენს ლიგა. ნახევარფინალი. საპასუხო შეხვედრა. ბრიუგე – ფიორენტინა 1:1 (პირველი მატჩი 2:3).

პარა წოლჭიმში ქართველებმა ოქრო და ბრინჯაო მოიპოვეს

საქართველოს პარა წოლჭიმის ნაკრებმა ტაილანდში მიმდინარე 2024 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაზე წარმატებული სტარტი აიღო.

ჩვენი ქვეყნის სახელით +107 კილოგრამ წონით კატეგორიაში **აკაკი ჯინჭარაძე** გამოვიდა და ოქროს მედალი მოიპოვა. მან ინდივიდუალურ ასპარეზობაში, სამი მისვლის ჯამში 236 კილოგრამი დაძლია და პირველი ადგილი არავის დაუთმო.

ამავე წონაში **გიორგი ლაცაზიძემ** 229 კგ დააფიქსირა და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. საქართველოს პარა წოლჭიმის ნაკრები გუნდი „ტაილანდი 2024“ მსოფლიო თასის გათამაშებაზე ასპარეზობას განაგრძობს. სულ ჩვენი ქვეყნის სახელით 4 სპორტსმენი გამოდის და ტურნირი 11 მაისს დასრულდება.

მარადონას მოპარულ ოქროს ბურთს აუქციონზე გაყიდიან

დიეგო მარადონას კუთვნილი „ოქროს ბურთი“, რომელიც მან მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებისთვის მიიღო, თითქმის მეოთხედი საუკუნე დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ ახლა, ეს პრიზი ახალი მფლობელის ხელში გადავა.

სააუქციონო სახლმა **Aguttes**-მა გამოაცხადა, რომ ლეგენდარული არგენტინელის „ოქროს ბურთი“ გასაყიდად გამოიტანა. სასტარტო ღირებულება არ დაუსახელებიათ, მაგრამ ვარაუდობენ, რომ პრიზი რამდენიმე მილიონ ევროდ არის შეფასებული. ამგვარი ღირებულება ამ ლოტის არა მხოლოდ მნიშვნელობიდან, არამედ ასევე იმ კრიმინალური ისტორიიდან მომდინარეობს, რომელიც მას უკავშირდება.

როგორც ჟურნალი **France Football** ყვება, მარადონას „ოქროს ბურთი“ 1989 წელს ნეაპოლის ბანკიდან მოიპარეს. სწორედ იქ ინახავდა არგენტინელი თავის პრიზს. მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის „ოქროს ბურთი“ მხოლოდ 2016 წელს იპოვეს, როცა კოლექციონერმა აბდელჰამიდმა აღიარა, რომ ის რამდენიმე ასეულ ევროდ შეიძინა ისე, რომ არ იცოდა რა ჯილდოსთან ჰქონდა საქმე.

ფრანგული კანონმდებლობის თანახმად, კოლექციონერს ყველანაირი საფუძველი გააჩნია იმისთვის, რომ „ოქროს ბურთის“ მფლობელად ითვლებოდეს, რადგან მისი შეძენისას არ იცოდა, რომ ის მოპარული იყო, ხოლო მარადონამ ან მისმა მემკვიდრეებმა შეძენიდან სამი წლის განმავლობაში არ განაცხადეს პრიზზე საკუთარი უფლებების შესახებ.

ასე რომ, „ოქროს ბურთის“ გაყიდვიდან მიღებული რამდენიმე მილიონი აბდელჰამიდის ჯიბეში აღმოჩნდება.

დიდი ხელბურთელის სახელის უკვდავსაყოფად



თბილისის საკრებულოს ინიციატივით და სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის თანადგომით, ცნობილი ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფა გაიხსნა. ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფა სპორტსმენის საცხოვრებელი სახლის ფასადზე, კეკელიძის 25 ნომერში, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კახაბერ ლაბუჩიძემ გახსნეს.

როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, ძალიან მნიშვნელოვანია იმ სპორტსმენების დაფასება, რომლებმაც ქართული სპორტის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს. გიორგი ტყემალაძის თქმით, ჯემალ ცერცვაძე არის ლეგენდა, რომელმაც ქართულ ხელბურთში ისტორია დაწერა.

„ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, რომ დღეს ლეგენდარული ქართველი ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფა გავხსენით. ამით ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ მის მიმართ დიდი პატივისცემა და ლეგენდარული სპორტსმენის სახელის უკვდავსაყოფად კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით“, – განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

ფენომენალური ტექნიკის მქონე ქართველი ხელბურთელი ჯემალ ცერცვაძე 1968 წელს მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი გახდა. იგი მონაწილეობდა სამ მსოფლიო ჩემპიონატში და სამჯერ იყო შეყვანილი მსოფლიოს ნაკრებში. ჯემალ ცერცვაძეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ხელბურთის განვითარების საქმეში. მანვე მსოფლიოში პირველი ოლიმპიური რეზერვის ხელბურთელთა უნიკალური სკოლა დააარსა, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს.

მშვიდობიან ცხოვრებას მხოლოდ სიმართლე მოიტანს!

არ ვიცი, შევძლებ თუ არა გამოვხატო ჩემი განწყობა იმ მოვლენებზე, რასაც ადგილი აქვს საქართველოში, კერძოდ, თბილისში (უკვე სხვა ქალაქებშიც!), მაგრამ რაც ხდება, ძალიან მაწუხებს. და განა, თუ ხარ ქართველი, თუ გინდა შენი სამშობლო იყოს ყოველმხრივ ძლიერი და უპირველეს ყოვლისა, მართალი თავისი ხალხისა და ზოგადად პოლიტიკური თუ სოციალური სამყაროს წინაშე, თუ გინდა იცხოვრო მშვიდად და კარგად, როგორ არ შეგაწუხებს ის, რაც თითქმის აპრილის დასაწყისიდან ჯერ პარლამენტში და მერე გარეთ, პარლამენტთან, კანცელარიასთან, რუსთაველზე და ახლა უკვე დედაქალაქის სხვა უბნებშიც ხდება? უთანხმოება გამოიწვია არასამთავრობო და მედიის გამჭვირვალობის შესახებ იმ კანონმა, რომელიც შარშანაც იყო პარლამენტში გასარჩევად შემოტანილი, მაგრამ დიდი წინააღმდეგობის გამო მთავრობამ უკან გაიწვია.

მშვიდობისა და ხალხის ცხოვრების მოწესრიგების გარანტი სახელმწიფო და მისი ხელმძღვანელობაა. და ვეკითხები ჩვენს მთავრობას – რა ხდება დღეს?! რატომ აწრიალდა ხალხი, რატომ არის, რომ შინაურიც და გარეულიც, ერთგვაროვნად ჩაერთვნენ ქვეყნისთვის არცთუ სასარგებლო პროცესში. ამ ხმაურიანი კანონპროექტის უარმყოფმა დემონსტრანტებმა ქალაქის სხვადასხვა უბნებშიც მოაწყვეს მსვლელობა. მათ მიერ ფიცის დადებამ საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა მემორიალთან გმირთა მოედანზე დაგვანახა თუ რამდენად სერიოზულად უმუშავიათ ჩვენს „მოყვრებს“, რამდენად თავდაყირა დაუყენებიათ ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული გრძნობები, რაც გამოიხატა ილია მართლის უკვდავი, ქართველთათვის მარადიული სენტენციის **„მამული, ენა, სარწმუნოება“** დამახინჯებაში. სიტყვა „სარწმუნოების“ „ერთობით“ ჩანაცვლებამ ხალხი დააფიქრა და გააღიზიანა. რუსულ კანონად შერაცხილმა გამჭვირვალობის კანონპროექტმა როგორც ჩანს, არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა უკიდურესად შეაშფოთა თუ შეაშინა. ფაქტია, რომ ისინი და მათი დამქაშები დაირაზმნენ, დატრიალდნენ და ალმოკიდებული ასანთი ახალგაზრდულ ჯგუფებში შეაგდეს. როგორ თუ „რუსული კანონიო“, როგორ თუ ევროპული გზიდან გადახვევაო – აინთო ცეცხლი, აბრიალდა კოცონი და სწრაფად მოედო ჩვენს პატიოსან და სამშობლოსთვის თავდადებულ ახალგაზრდობას, რაც დიდად გაგვახარებდა, რომ ყოველივე ეს მტრის მიზანს – საქართველოში არეულობის მოწყობას არ ემსახურებოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ვეცადე, თავად გამეცა პასუხი ჩემივე შეკითხვაზე – რა ხდება! მაინც ვიტოვებ უფლებას, რომ დაწვრილებით და დამაჯერებლად აგვიხსნან, რა ხდება ქვეყანაში, რადიკალების ქცევებს პარლამენტში ვხედავთ და არ გვიკვირს, ვიცით, მათ რაც უნდათ, მაგრამ რატომ ათენებენ ღამეებს აღელვებული ახალგაზრდები, რატომ ვერ მიიტანეთ მათთან ქვეყნისთვის სასარგებლო სიმართლე და რატომ დაუთმეთ მოყვარე მტრებს მათთან ურთიერთობის ადგილი?

მთავრობა ვალდებულია, პასუხი გაგვცეს, დააშოშმინოს ახალგაზრდობა, დაარწმუნოს ქვეყნის მიერ არჩეული გზის სიმართლესა და სიმტკიცეში, ხალხის დიდ ნაწილს ჯერა, რომ გამჭვირვალობა საჭიროა ყველგან, ყველასთან და ყველაფერში. სიმართლე დიდი ძალაა, სიმართლე დიდი სიკეთეა. მას ვერავინ დაამარცხებს. ხალხის სურვილია, სიმართლემ გაიმარჯვოს, მშვიდობიან ცხოვრებას მხოლოდ სიმართლე მოიტანს!

გულნარა სტურუა

პოლიციაზე თავდასხმისა და ნივთის დაზიანებისთვის შსს-მ 6 პირი დააკავა

რუსთაველის გამზირსა და პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციელზე თავდასხმისა და ნივთის დაზიანების ბრალდებით 6 პირი დააკავეს, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში ბრიფინგზე თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა სულხან თამაზაშვილმა განაცხადა.

„გვსურს საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია რუსთაველის გამზირსა და პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ საპროტესტო აქციებზე მომხდარი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ, რომლის საფუძველზეც შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პროკურატურასთან ერთად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციელზე თავდასხმისა და ნივთის დაზიანების ბრალდებით 6 პირი დააკავა.

საზოგადოება სხვადასხვა ტელეარხების პირდაპირი ეთერების საშუალებით ადევნებდა თვალს, რომ მიმდინარე აქციების პერიოდში, პოლიტიკური ლიდერები, აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები არაერთხელ გასცდნენ შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

აქციის მონაწილეები, სხვადასხვა დროს, ძალადობრივი ქმედებებით, სხვადასხვა ნივთისა და კონსტრუქციების ასევე, გაურკვეველი წარმოშობის ცრემლსადენი აირის გამოყენებით ახორციელებდნენ პარლამენტის შენობაში შეჭრას და თავდასხმებს ადგილზე მყოფ პოლიციელებზე.

გარდა ამისა, აქციის მონაწილეები სხვადასხვა მძიმე საგანს, მათ შორის, ბოთლებს, ქვებს, მხუთავ და ცრემლსადენ ნივთიერებას და რკინის ნაჭრებს ისროდნენ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შენობის ეზოში, სადაც იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და ასევე, განთავსებული იყო სამინისტროს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები.

საზოგადოებამ კარგად იხილა, როგორ აზიანებდნენ აქციის მონაწილეები ადმინისტრაციულ შენობაზე განთავსებულ ვიდეო სამეთვალყურეო კამერებსა და თბილისის მერიის საკუთრებაში არსებულ სხვადასხვა ნივთს.

აქციის მონაწილეთა მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი თავდასხმების შედეგად, დაზიანებები მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს შვიდმა თანამშრომელმა, აქედან ერთს გაუკეთდა ოპერაცია და ამ დრომდე აგრძელებს მკურნალობას.

მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მყისიერად დაიწყო გამოძიება და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 8-9 მაისს 6 პირი დააკავა.

კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ 16 აპრილს, აქციის მიმდინარეობისას, ერთ-ერთმა დაკავებულმა, სამართალდამცველთა მიმართულებით ისროლა ბლაგვი საგანი, რის შედეგად განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელმა, თვალის არეში დაზიანება მიიღო.

ერთ-ერთმა დაკავებულმა პირმა, მიმდინარე წლის 16 აპრილს, დააზიანა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტომობილი.

1-2 მაისს, მიმდინარე აქციის დროს, დაკავებულთაგან ორმა პირმა დააზიანა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ვიდეო სამეთვალყურეო კამერები.

1 მაისს, ერთ-ერთმა დაკავებულმა საკანონმდებლო ორგანოსთან მიმდინარე აქციის დროს დააზიანა პარლამენტის ჭიშკარი, ასევე, ისროლა ქვა პარლამენტის ეზოში მყოფი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიმართულებით, რის შედეგად დაზიანება მიიღო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველმა.

ასევე, 1 მაისს მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ერთ-ერთმა პირმა დააზიანა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შენობაზე დამონტაჟებული გარე სამეთვალყურეო კამერა.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა და 187- ე მუხლების პირველი ნაწილებით მიმდინარეობს.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ყველა შესაბამის საგამოძიებო მოქმედებას იმ პირების დადგენისა და დაკავების მიზნით, რომლებმაც მიმდინარე აქციების დროს განახორციელეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით, 2024 წლის 15 აპრილიდან დღემდე საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების მხრიდან განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 8 მაისს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით:

სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლით, რაც გულისხმობს სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდებას ან ბლოკირებას.

გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველების მხრიდან, საგამოძიებო ორგანოში მოხდება აქციის ორგანიზატორების, პოლიტიკური ლიდერებისა და ყველა იმ პირის გამოკითხვა, რომლებსაც შესაძლოა რაიმე სახის კავშირი ჰქონდეს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საპროტესტო აქციები კვლავ გრძელდება და შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ მოუწოდებს აქციის მონაწილეებს, დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი, არ გასცდნენ შეკრების და მანიფესტაციის კანონით დადგენილ ნორმებს და არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება“...

საალდგომო ფესტივალი თელავში გაიხსნება

XIX საერთაშორისო საალდგომო ფესტივალის საზეიმო გახსნა 14 მაისს რუსთაველის სახელმწიფო თეატრის დიდ სცენაზე აღარ შედგება

ცნობილია, რომ 14-31 მაისს საქართველოს ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ბორჯომი, თელავი) აკადემიური ხელოვნების მოყვარულთათვის უნდა გაიმართოს XIX საერთაშორისო საალდგომო ფესტივალი. ფესტივალის მხარდამჭერები არიან: საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ბათუმის მერია, ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა, ქუთაისის მერია, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები, თელავის მერია, ვაჟა ფშაველას სახელობის დრამატული თეატრი, ბორჯომის მერია, „ხელის ჩრდილების თეატრი – ბუდრუგანა გაგრა“, სატრანსპორტო კომპანია „ვი თი ჯგუფი“, ღვინის კომპანია „ვაზისუბნის მამული“, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი.

ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერები არიან: საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია „ერთსულოვნება“, „რადიოჰოლდინგი ფორტუნა“. ფესტივალის მიზანია ეროვნული და მსოფლიო აკადემიური ხელოვნების პოპულარიზაცია, არა მარტო დედაქალაქ – თბილისში, არამედ რეგიონის მსხვილ ქალაქებში. ფესტივალზე ეროვნულ საშემსრულებლო ძალებთან ერთად საზოგადოების წინაშე წარდგებიან მსოფლიოს პროფესიული სცენების საუკეთესო წარმომადგენლები. მე-19 ფესტივალი მოიცავს 7 საღამოს, რომელთაგან 3 დედაქალაქში გაიმართება, 4 საღამო – ბათუმში, თელავში, ქუთაისსა და ბორჯომში.

ფესტივალის დამფუძნებელი და ორგანიზატორი მანანა ხვედელიძე სოციალურ ქსელში (ფეისბუქი) აცხადებს, რომ XIX საერთაშორისო საალდგომო ფესტივალის გახსნა დაგეგმილი იყო 14 მაისს, რუსთაველის სახელმწიფო თეატრის დიდ სცენაზე. დედაქალაქში შექმნილი არასტაბილური გარემოს და თეატრის შენობის ეპიცენტრში მდებარეობის გამო ეს საღამო არ შედგება. ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება თელავის დრამატულ თეატრში. მიუხედავად ობიექტური მიზეზისა, რადგან ვიცი საღამოსადმი დიდი ინტერესის შესახებ, გიხდით ბოდიშს.

ამომავალი ვარსკვლავი

ქუთაისელი პიანისტი გიორგი არაბიძე ბრიტანეთისა და საფრანგეთის კონკურსების გამარჯვებულია

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლე გიორგი არაბიძე 2024 წლის (მე-2 სეზონის) ბრიტანეთისა და საფრანგეთის „კომპოზიციის საერთაშორისო კონკურსების“ გამარჯვებულია!

ჟორჟ ბიზეს და კლოდ დებიუსის საერთაშორისო კონკურსებზე, „ორიგინალური კომპოზიციის კატეგორიაში“ გიორგის პირველი ადგილი და 2 ოქროს პრიზი მიენიჭა.

მან აგრეთვე დაიმსახურა სპეციალური პრიზები: ბრიტანეთში – „საუკეთესო საშემსრულებლო ტექნიკისათვის“ N4 სონატის შესრულებისას (ჟ. ბიზეს კონკურსი) და საფრანგეთში – „საუკეთესო კრეატიულობისათვის“ N5 სონატის შესრულებისას (კ. დებიუსის კონკურსი).

„ვულოცავთ უნიჭიერეს გიორგი არაბიძეს საერთაშორისო აღიარებას კომპოზიციის ხელოვნებაში, სადაც მან უკვე გადადგა პირველი სერიოზული და წარმატებული ნაბიჯები, ვუსურვებთ წინსვლას და ახალ-ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას!“ – წერს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი.

აშშ-ში კაცმა საავადმყოფოში დიალიზზე მყოფი ცოლი მოკლა

შემთხვევა ერთ-ერთ საავადმყოფოში მოხდა, როდესაც ბრალდებულის ცოლი დიალიზის პროცედურას იტარებდა.

რონი უიგსმა, სავარაუდოდ, აღიარა, რომ მანამდე ორჯერ სცადა ცოლის მოკვლა საავადმყოფოში და სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.

როგორც უცხოური მედია წერს, კაცმა ცოლის დახრჩობა მაშინ დაიწყო, როდესაც ის საავადმყოფოში საწოლზე იწვა. როდესაც შემთხვევის ადგილზე პოლიცია მივიდა, ქალი არ რეაგირებდა, არც პულსი ესინჯებოდა, თუმცა ჯერ კიდევ შეერთებული იყო აპარატზე.

საავადმყოფოს თანამშრომლებმა პოლიციას უთხრეს, რომ მათ სავარაუდოდ გაიგეს კაცის ნათქვამი: „მე ეს გავაკეთე. მე მოვკალი იგი. მე ვახრჩობდი მას“.

დაკითხვის დროს უიგსმა პოლიციასაც უთხრა, რომ მან ცოლი დაახრჩო.

მისი თქმით, ცოლი იმიტომ მოკლა, რომ მასზე ზრუნვა ან სამედიცინო გადასახადების გადახდა არ შეეძლო.

ავტომობილი მდინარე კავთურამ გაიტაცა!

ავტომობილი, რომელშიც 3 მამაკაცი იჯდა, მდინარე კავთურამ გაიტაცა. შემთხვევა სოფელ კავთისხევში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, სამიდან ერთი მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს, მეორემ წყლიდან ამოსვლა თავად შეძლო, ამ დრომდე კი, მაშველები 35 წლის მამაკაცს ეძებენ.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში აცხადებენ, სამაშველო ოპერაცია გრძელდება, ადგილზე იმყოფება ცოცხალი ძალა და მიმდინარეობს ტერიტორიის დრონებით დათვალიერება.

„მონა ლიზას“ მიწისქვეშეთში განათავსებენ?!

მონა ლიზა, შესაძლოა, ლუვრის მიწისქვეშა ოთახში გადაიტანონ. ინიციატივის ავტორი მუზეუმის დირექტორი ლორენს დე კარსია. იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც მილიონობით ვიზიტორმა აღნიშნა, რომ ლეონარდო და ვინჩის ყველასათვის ცნობილი ნამუშევრის ნახვა უსიამოვნო ემოციებს აღძრავს.

მუზეუმმა მოსაზრების განსამტკიცებლად გამოკითხვაც ჩაატარა. ისინი, ვინც მონა ლიზა მოინახულეს, გამოცდილებას უარყოფითად აფასებენ. სწორედ ამის შესაჩერებლად, დირექტორი განიხილავს, იდუმალებით მოცული პორტრეტი მუზეუმის მიწისქვეშა ოთახში გადაიტანონ.

„მონა ლიზას ცალკე ოთახში მოთავსებამ, შესაძლოა, საზოგადოების იმედგაცრუება დაასრულოს. რადგანაც მილიონობით ვიზიტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცას არასწორად ვაკეთებთ და ცვლილების დროა. მთავარი საგამოფენო სივრციდან მოშორებით გადატანა პერსონალური გადაწყვეტილება ვერ იქნება. გუნდი ინიციატივას დეტალურად განიხილავს“, – ამბობს ლორენს დე კარსი.

უარყოფითი ემოციების გარდა, ზოგიერთი მნახველი მონა ლიზას „მსოფლიოში ყველაზე იმედგამაცრუებელ შედევრს“ უწოდებს. გამოკითხვაში მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნის 18 000-ზე მეტმა მოქალაქემ მიიღო. კომენტარების 40% მკვეთრად უარყოფითი იყო.

ცნობისთვის, მონა ლიზა დაახლოებით 1503 წელსაა შესრულებული. იგი ხელოვნების დარგის ერთ-ერთ, თუ არა ყველაზე, ცნობად ნამუშევარს წარმოადგენს. ტილო გინესის რეკორდის მფლობელია, როგორც ყველაზე ძვირად დაზღვეული ხელოვნების ნიმუში, რომელიც 1962 წელს 100 მილიონ დოლარად დააზღვიეს, ხოლო 2017 წელს დაზღვევის ღირებულებამ დაახლოებით 800 მილიონ დოლარს მიაღწია. მიიჩნევა, რომ ის ლიზა დელ ჯოკონდოს პორტრეტია. ნახატი 1797 წლიდან მუდმივ კომპოზიციაში, პარიზში, ლუვრის მუზეუმშია გამოფენილი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წ.რ.ეთლის №116 (ფიდუციალური)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ძორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გალდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 13 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6797; ევრო - 2.8812;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3472;
100 რუბლი - 2.9138; თურქული ლირა - 0.0831;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5759;
1000 სომხური დრამი - 6.8931

ამინდი 10 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+8,	დღე +23
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე +21
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+9,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე +25
თბილისი:	ღამე	+12,	დღე +22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge